# საქართველოს რესპუბლიკა




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 14 იანვარი, 2012 წელი.

№9 (6886)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## სააკაშვილი სცილასა და ქარიბდას შორის

③



## „რატომ უნდა გააკეთო ის საქმე, რომელსაც შენ მაგივრად სხვა ისედაც აკეთებს?!“

④



## ნორვეგიასა და საფრანგეთსაც კი ვჯობნით თურმე, მაგრამ...

⑤

## „არც ერთი იყო ვენეციელი...“



## ყორანს არ შველის არფერი, თორემ...

②

## შეტენა თქვენ ბატონ სოსო ცინცაძისა ნაჭეთ, თავხელიძე და ჯაფარიძე შეგირდებად თუ გამოადგებიან...

## კატობრიობის დაღუპვის 10 სცენარი

⑨



### კვირაძალს საკითხავი



## მამის სახე დროის მანძილიდან

⑥⑦

## „გზა უნდა განვაგრძოთ“...



ქართველი შლიმანი

# ყორანს არ შველის არფერი, თორემ...

**მოულოდნელად გათეთრებული შავი ფული, ანაზდად თავწამოყოფილი მუმიები, ვინ იცის, საიდან და რანაირად გაჩენილი ქალაქები თუ საწარმო-ნაგებობები, დაუღალავი „ატკრივალკა“ და...**

**არა, მართლაც კარგი რამეა ეს მრავალწერტილი — დასვამ და თავისუფალი ხარ! თორემ, სხვანაირად, რა ჩამოთვლის ყველაფერს, რაც თუნდაც მარტო ამ ბოლო ერთ კვირაში ქვეყნის მთავარი მაკრატელოსნის თუ იმ პიროვნების გარშემო დატრიალებულ მოვლენებთან არის დაკავშირებული, რომელიც, თვით ქვეყნის პირველი „ატკრივალკის“ თქმით, მას მოდუნების უფლებას არ აძლევს!**







ჯერ თუნდაც „სიმშვიდის დამრღვევის“ კუთვნილი „შავი“ ფულის გათეთრებისა ვთქვათ. რა ამბავი ატეხეს ამ სამიოდე თვის წინათ! — ბიძინა ივანიშვილის კუთვნილ საინკასაციო მანქანას „საქართველოს ბანკიდან“ „შავი“ ფული გამოჰქონდა და ეს უკანონო ოპერაცია მხოლოდ ჩვენი ფხიზელი სამართალდამცავების მეოხებით აღიკვეთაო!

ერთი გაკვირვება კი გაგვიკვირდა დილეტანტებს — **რა საჭირო იყო ამ საქმეში ძალოვნების ჩარევა, როცა ეროვნული ბანკიდან ერთი ზარიც საკმარისი იქნებოდაო!**

მერე ისიც გავიკვირვეთ, როცა ზემოხსენებულმა „ბანკების ბანკმა“ ამის გამო სპეცკომისია ჩაუსვა „ქართუ ბანკს“.

სხვების არ ვიცი და, მე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მაშინდელმა ნათქვამმაც გამაოცა, უფრო სწორად, გამაოგნა — **ამ ფაქტთან დაკავშირებით „საქართველოს ბანკთან“ კითხვები არა მაქვს, მარტო „ქართუ ბანკი“ მაინტერესებსო.**

**— ვეჟო, გაგონილა?** — გაიკვირვებდა, ალბათ, ცხონებული ლუარსაბი, ცოცხალი რომ ყოფილიყო, — **ეს რანაირადო! თუ „საქართველოს ბანკიდან“ „შავი“ ფულის გამომტანი „ქართუ ბანკი“ იყო დამნაშავე, ამ „შავი ფულის“ შემნახველ „საქართველოს ბანკს“ პასუხი არ უნდა მოეთხოვოსო?**

იტყოდა და, მართალიც იქნებოდა, ჩემმა მზემ! — **თუ ავი შემნახველი ქურდზე უარესია, ავის** (ამ შემთხვევაში „შავის“ძ **შემნახველი არ არის დასჯის თუ არა, თუნდაც რაიმენაირი ახსნა-განმარტების მიცემის ღირსი?**

რა ვიცი, ქრთამის ამღებიცა და მიმღებიც ორთავე დამნაშავეაო და...

**ამას რომ კანონი ამბობს და მოითხოვს, არ იცოდა ვითომ ეს განათლებით იურისტმა, ეროვნული ბანკის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა, უფალმა მანაგაძემ, როდესაც ასეთ აბსურდულ რამეს ამბობდა?**

იცოდა, მაგრამ მაინც თქვა ის, რაც თქვა, და არ ამბობდა და არ აკეთებდა იმას, რაც უნდა ეთქვა და გაეკეთებინა.

**„მამიკოს“ დამჯერი ბიჭი იყო, არის და ამიტომაც იქცეოდა ასე.**

**სამაგიეროდ თვეში ლამის ოცი ათასი ლარი ეძლევა მარტო ხელფასად(!) ჩვენს, გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე, ცხადია!**

ამიტომაც ბევრი კი მოინდომა მაღლიერმა და მალა კიდეც სიმართლე, მაგრამ ჭირმა რომ თავი არ დამალა?

**ჰოდა, ისე უჩუმრად გათეთრებულა ის „შავი“ ფული და იმნაირად ჩუმად დაბრუნებია თავის პატრონს, რომ „ქართუ ბანკის“ ხელმძღვანელს ნოდარ ჯავახიშვილსაც ძლივს გაუგია.**

ასეა, მართლაც მარტო ყორანი არ გათეთრდება თურმე, რაც არ უნდა ხეხო ქვიშით, თორემ ტყუილს რომ მუდამ მოკლე ჰქონდა ფეხები, ახლაც დადასტურდა!

**ბოლომდე ვერ გააშავეს თეთრი ფული, მაგრამ არც გაწითლებულან მისი მოულოდნელი გათეთრების გამო „გამშავებელ“-დამშავებლები.**

თუმცა ეს მათი ბუნებრივი რეაქცია თუ მდგომარეობაა, არაფერი არ აოცებთ.

**ეს გააკვირვებდა კი არა, თვით შლიმანს რომ გააოგნებდა, ისეთი არქეოლოგიური აღმოჩენა გააკეთა ახლახან ვასიკო ოდიშვილის საყვარელმა „მაღალმა“, რომელმაც საქართველოში აღმოაჩინა, არც მეტი, არც ნაკლები — მუმიები!**

გეხსომებათ, სულ ახლახან, გორში, თავისი დაუღალავი მაკრატლის მორიგი აკრიჭინებისას თქვა ეს მთავარმა „ატკრივალკამ“.

რამდენად მისაღები და ეთიკურია პრეზიდენტისგან ადამიანების, თუნდაც თავისი ოპონენტების, ამგვარად მოხსენიება, ეს მის სინდისზე იყოს და თქვენ განსაჯეთ, მკითხველებო, მაგრამ მაკრატელოსნის კიდევ ერთ გორულ განცხადებაზე კი უთუოდ უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა.

**როგორც სჩვევია, იქ, თავის მიერ ამ სამიოდე წლის წინათ „დაკოცნილ“ გორის მიწაზე, წაიტრაბახა უაპელაციოდ და მოუზომავ-მოუთოკავად აშენებულ-გაკეთებულზე — დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქის შემდეგ დროის არც ერთ მონაკვეთში არ გაკეთებულა და აშენებულა იმდენი, რამდენიც თუნდაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაკეთდა და აშენდა საქართველოშიო.**

**თქმა არ უნდა, მართლაც ბევრი რამ აშენდა და გაკეთდა, რისი დაუნახაობაც დანაშაულია, მაგრამ ამგვარი უაპელაციო დახეთქება?!**

თუ მართლაც ისეა, როგორც „მაღალმა“ განაჩინა, მაშინ იქნებ ის მაინც აგვიხსნას ძალიან მოკლედ, **საიდან, რანაირად და როდის გაჩნდა საქართველოში ის ქალაქები (თუნდაც დავით-თამარის დროს არარსებული ამჟამინდელი რუსთავი) თუ საწარმო-ნაგებობები, რომელთა გაყიდვას დღემდე ვერ აუდიან და ზედ ნამუსიც მიაყოლეს ნაციონალებმა?**

ეჰ, ჩვენო მაკრატელკრიჭინა „ატკრივალკავ“, პრეზიდენტი კი არა, თვით ქრონიკულად ოპოზიციონერი პოლიტიკური პარტიის ლიდერიც რომ იყოთ, მაშინაც არ გეკადრებათ ასეთი დაუკვირვებელ-დაუფიქრებელი, ადამიანთა დამამცირებელი გამოთქმები. თქვენ კი...

**თუმცა რა აზრი აქვს სახარების კითხვას მუდამ „ტყისკენ“ მომზირალისთვის?**

**„მაღალი“ მაინც თავისას უბერავდა, უბერავს და გაუბერავს, სანამ მაგრად არ შევუბერავთ!**

**ჰოდა, მოვემზადოთ ამისთვის, ღრმად ჩავისუნთქოთ და...**

ნინო ქორჩილავა

საზოგადოებრივი მოძრაობა

# სამუშაო ადგილები თავზე საყრელად გვექნებაო...

**გუშინ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ ოფისში, დემურ გიორხელიძის ხელმძღვანელობით მოძრაობის ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის, დარგობრივი ჯგუფების პრეზენტაცია გაიმართა.**

**დემურ გიორხელიძის თქმით, დარგობრივი ჯგუფი, მოიცავს იმ სამ დიდ თემატურ მიმართულებას, რომელიც ასახულია ჯგუფის დასახელებაში: ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა და გარემოს დაცვა.**

**თავად ეკონომიკის ჯგუფი, სამ თემატურ ქვეჯგუფად არის დაყოფილი: მიკროეკონომიკა, მცირე და საშუალო ბიზნესი, დარგობრივი ეკონომიკა და ინოვაციები. ეს უკანასკნელი აერთიანებს ისეთ ქვეჯგუფებს, როგორიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ინფრასტრუქტურა და ბუნებრივი რესურსები, ხოლო ინოვაციურ ჯგუფში შედის ქვეყნის სივრცითი დაგეგმარება და ურბანული განვითარება.**



**ამასთან ერთად, ამ „ქართული ოცნების“ ინიციატივით დამატებით იმუშავებს დემოგრაფიის ჯგუფი, რომელსაც საერთო მომსახურებას გაუწევს ანალიტიკური ჯგუფი.**

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ მთავარი ამოცანაა, შექმნას ქვეყნის განვითარების ისეთი კონცეფცია, რომელიც გამოსადეგი იქნება ყველასათვის, მათ შორის ხელისუფლებისთვის.**

**დემურ გიორხელიძის განცხადებით, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში არ შექმნილა ქვეყნის განვითარების მსგავსი გლობალური, ყოვლისმომცველი გეგმა.**

**„ქართული ოცნების“ ანალიტიკური ჯგუფი განსაკუთრებულად „გარემოს დაცვის დარგობრივ დანაყოფს გამოყოფს, რომელსაც ლაშა ჩხარტიშვილი უხელმძღვანელებს. ლაშას განცხადებით, საქართველოს უნიკალური ბუნება სახელმწიფომ განსაკუთრებულად უნდა დაიცვას.**

**სწორედ ამას მოემსახურება გარემოს დაცვის ჯგუფი, ჩვენ გვჭირდება მწვანე მომავალი და მწვანე ეკონომიკა, რასაც აუცილებლად შევქმნით, — აცხადებს ლაშა ჩხარტიშვილი.**

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ ამ დარგობრივი ჯგუფის მიზანია, თანამედროვე ტენდენციებისა და მიმართულების შესაბამისად შეიქმნას კონცეპტუალური საფუძვლები საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის.**

**ჯგუფი თანამშრომლობისთვის იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს, და მზად არის გაიზიაროს მათი შეხედულებები.**

**დემურ გიორხელიძის განცხადებით, თუ ყველაფერი მათი გეგმის მიხედვით წარიმართება, უახლოეს მომავალში სამუშაო ადგილები იმდენად ბევრი იქნება საქართველოში, რომ სამუშაო ადგილების ნაკლებობა კი არა, მუშახელის სიმცირე შეგვაწუხებს.**

ლია გრიგოლია

სარედაქციო ფოსტიდან

# შეტენა თქვენ ბატონ სოსო ცინცაძისა ნახეთ, თავხელიძე და ჯაფარიძე შეგირდებად თუ გამოადგებიან...

**ნეტავ სულ არ მეყურებინა 12 იანვარს, ხუთშაბათს, „კავკასიისთვის“... მართალი გითხრათ, შემრცხვა, რომ გვარად მეც ცინცაძე ვარ. ამიტომ, ამ პატარა ბარათს ყველა გულნატკენი ცინცაძის სახელით ვწერ და ერთგვარად ბოდიშს ვუხდი „ქართულ ოცნებას“, იმედის თვალით შემყურე ჩვენს საზოგადოებას, რომელიც კიდევ ერთხელ დაარწმუნა თავის ცრუმკვლევარობასა თუ ცრუექსპერტობაში ეგრეთ წოდებულმა პოლიტოლოგმა სოსო ცინცაძემ.**

მე, როგორც მეცნიერი პოლიტოლოგი, მოვალე ვარ, რომ ყველაფერს თვალი ვადევნოო, განაცხადა ბატონმა სოსომ. მაგრამ როცა აქუბარდიამ ჰკითხა, რა აზრისა ხარ 11 იანვარს გორში პრეზიდენტის გამოსვლაზეო, როცა თავის ოპონენტებს მან სულ მუმიები და ვამპირები ეძახაო, სოსომ მოკლედ მოუჭრა, არ ვიცი, არ მომისმენიაო. ასე იყო მთელი გადაცემის მანძილზე. როცა სწორი პასუხი ხელს არ აძლევდა ამ ჩვენს ყველაფრის თვალყურის მდევნებელ ვაიპოლიტოლოგს, არ ვიცი, არ მომისმენიაო, მუდამ მზად ჰქონდა პასუხი.

უბირი მსმენელიც სულ ადვილად შეატყობდა, რომ იგი იმ საღამოს „კავკასიის“ სტუდიაში იმისთვის იყო მისული, რათა ეჭვქვეშ დაეყენებინა „ქართული ოცნების“ განხორციელების იდეა და ერთხელ კიდევ დაემტკიცებინა თავისი ყმური ყურმოჭრილობა თავისი ნაციონალი ბატონების წინაშე, რომელთაც თავისი ჭკუით ვითომ ახალი სახის დიპლომატებს უზრდის თავის საოჯახო დიპლომატიურ აკადემიაში, სადაც ცოლი რექტორად ჰყავს, ხოლო ოჯახის წევრები და სანათესაო — პედაგოგებად და სხვადასხვა თანამშრომლებად. სწორედ ამ ეგრეთ წოდებული აკადემიის შენარჩუნებაში მარხია ამ ვითომ პოლიტოლოგი მკვლევარის სამარცხვინო დიპლომატიურობის ბომბორა ძაღლის თავი.



მოგეხსენებათ, არის ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპული საქართველოსთვის“, ხელისუფლებისგან დაფინანსებული, რომლის ორი „ცნობადი“ წევრი — ვინმე მიხეილ თავხელიძე და ასევე ვინმე ზურაბ ჯაფარიძე, იმის იმედით, რომ მომავალ პარლამენტის არჩევნებში ნაციონალთა სიაში ამოჰყოფენ თავს, თავგადაკლულნი ებრძვიან „ქართული ოცნების“ იდეას „რუსული ფულის“ ტყუილმფრქვევით... მკვლევარი სოსო ცინცაძის „ზეკომპეტენტური“ აზრით, ნაციონალებს თურმე სულ არ სჭირდებათ არც ამ ვინმე თავხელიძისა და არც ასევე ამ ვინმე ჯაფარიძის გადაფაფრება, ისინი უამისოდაც უმრავლესობით გაიმარჯვებენ მომავალ არჩევნებში. თავხელიძეცა და ჯაფარიძეც თურმე ძალით ეტენებიან ნაციონალებს... ერთ ადგილას, რომელ ადგილსავე, რასაკვირველია, ბევრად უფრო „დიპლომატიურად“ (აბა დიპლომატიურ აკადემიას ტყუილად ფლობს?!ძ ეტენება ეს ჩვენი ვაიმკვლევარი-პოლიტოლოგიც... არადა, ვითომ სხვათ ამხილებს, მე ცინცაძე ვარ, მეცნიერი, ვიღინდარა თავხელიძე და ჯაფარიძე არ გეგონოთო.

რაც შეეხება არჩევნების შედეგებს, ეს დიპლომატიური აკადემიის მფლობელი ღრმად დარწმუნებულია (მეცნიერი კაცისთვის მომავლის განჭვრეტას რა უნდა?!ძ, რომ ნაციონალები და, კერძოდ, სააკაშვილი, კვლავაც განაგრძობენ დავითაღმაშენებლობას... მან სანაძლეოც კი დაუდო, ცოტა არ იყოს, შეფუცხუნებულ აქუბარდიას, რვა თვის შემდეგ ამ სტუდიაში შევხვდეთ და, ვნახოთ, ვინ გამტყუნდებაო...

დროული კაცი ვარ. შეტენა ბევრნაირი მინახავს, მაგრამ საკუთარი ტყავის გადასარჩენად ასე ღრმად შეტენილმა ამ ჩემი გვარის კაცმა ვაითუ რვა თვის შემდეგ კი არა, რვა წლის შემდეგაც ვერ მოახერხოს „კავკასიის“ სტუდიაში მისვლა... თუნდაც ბოდიშის მოსახდელად.

გაწბილებულ ცინცაძეთა სახელით
არჩილ ცინცაძე,
ქ. ქუთაისი

ვინ ვის ემსახურება ჩვენში?

# საქართველო დღეს: პენსიონერებს – ნიგერიული პენსია, მასწავლებლებს, ექიმებს – ნიგერიული ხელფასი, ხელისუფალთ – ამერიკული შემოსავალი

ხელისუფლების აზრით აყვავებულ, დიდი რეფორმების და ეკონომიკური აღმავლობის ქვეყანაში რეალურად მდგომარეობა იმაზე უმძიმესია, ვიდრე მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ამას საკუთარ თავზე გრძნობს.

ევროსტატისა და საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალებზე დაყრდნობით ამის დამადასტურებელ ერთ ანალიზს წარმოგიდგენთ.

ბელგიაში სპეციალისტი ერთ საათში იღებს 38-40 ევროს (დღევანდელი კურსით – 85 ლარის ფარგლებში). ევროზონაში ეს ციფრი 27 ევროს ტოლია. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი პოლონეთს აქვს – სპეციალისტი ერთ საათში 7 ევროს იღებს.

გამოდის, რომ რასაც სპეციალისტი ბელგიაში ერთ საათში იღებს, ეს იმდენია, რამდენსაც საქართველოში პენსიის სახით თვეში იღებს პენსიონერი... გამოდის, რომ რასაც სპეციალისტი ბელგიაში ერთ საათში იღებს, 2,5-ჯერ მეტია, ვიდრე წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან იხარჯება ერთი ადამიანის სამედიცინო მომსახურებაზე (დავფიქრდეთ, მსოფლიოში ერთი ადამიანის სახელმწიფო ფული – 478 დოლარი იხარჯება, საქართველოში ბიუჯეტიდან – 35 დოლარი)... გამოდის, რომ რასაც ბელგიაში სპეციალისტი 4-5 საათში იღებს, საქართველოში მისი კოლეგა მასწავლებლის და ექიმის, უკეთეს შემთხვევაში, თვის ხელფასის ტოლია.

ამ დროს ბელგიაში კომუნალური გადასახადები და ფასები ძირითადად საკვებ პროდუქტებზე თითქმის ისეთივეა, როგორიც საქართველოში. დიდი დაფიქრებისათვის: ზემოაღნიშნული ანალიზის ფონზე ბელგიასა და საქართველოში ხელისუფალთა ანაზღაურება თითქმის ტოლია.

ნებისმიერ მოაზროვნე ადამიანს შეუძლია გააკეთოს დასკვნა, თუ როგორი სოციალური და პოლიტიკური სამართლიანობაა საქართველოში. ამომრჩეველს, ანუ ხელისუფლების დამქირავებელს – მასწავლებელს, ექიმს, სტუდენტს, პენსიონერს, მუშას, მომსახურეობაში დასაქმებულთ აქვთ ნიგერიული შემოსავლები, ანუ იმ ქვეყნის შემოსავლები, რომელიც გაეროს მიერ პენსიების, ხელფასების და შემოსავლების კუთხით აღიარებულია ყველაზე მძიმე ქვეყნად და ამ დროს ხალხის მიერ დაქირავებულ ხელისუფალთ აქვთ ამერიკული შემოსავლები.

დემოკრატიულ მსოფლიოში ხელისუფლება ხალხის მსახურია. როგორც ჩანს, ეს მთავარი პრინციპი თავდაყირაა დაყენებული საქართველოში – ხალხი ემსახურება ხელისუფლებას: თვითონ ცოდვის ტირილშია, ხელისუფლაბა – განცხრომაში.

დასკვნის გაკეთება ზემოაღნიშნულიდანაც შეიძლება, მაგრამ ჩვენს ვებ.გვერდზე www.tetrebi.org მოცემულია საქართველოში არსებული მდგომარეობის ამსახველი ანალიტიკური მასალა: „საქართველო დღეს – სააკაშვილისა და ვარდების რევოლუციის 8 წლისთავზე“.

ვინ ვის ემსახურება, ეს საკითხი გარკვეულია: დემოკრატიულ მსოფლიოში ხელისუფლება – ხალხს და ავტორიტარულ საქართველოში – ხალხი ხელისუფლებას.

ხელისუფლებას ემსახურება ის პოლიტიკოსიც, რომელიც ითმენს ამას და ფიქრობს სკამზე და პარლამენტში შესვლაზე და არა ამ კაცთმოძულე ხელისუფლებისაგან ქვეყნის განთავისუფლებაზე.

**თემურ შაშიაშვილი,**
ახალი პოლიტიკური ძალა „თეთრების მოძრაობა“ (თეთრები)
2012 წლის 10 იანვარი

---

მაქსიმუმ ერთ თვეში მილიარდერი ბიზნესმენის, ბიძინა ივანიშვილის პარტია შეიქმნება და, თუკი იქამდე პრეზიდენტმა მას მოქალაქეობა არ მიანიჭა, ამ პარტიას სათავეში მისი მეუღლე ჩაუდგება. ამის შესახებ განცხადება ოფიციალურად უკვე გაკეთდა და ახლა ხელისუფლების გადასაწყვეტია, მას ბრძოლა ივანიშვილთან ურჩევნია თუ ეკატერინე ხვედელიძესთან, რომლის უკანაც ივანიშვილი იდგება.

თუკი ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს გავითვალისწინებთ, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის გამკაცრებით დაწყებული და ხელისუფლების მიერ უკვე დაძრული საარჩევნო კამპანიით დამთავრებული, ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევას რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მან ვერც პოლიტიკაში ჩართვა უნდა შეძლოს და ვერც პოლიტიკის დაფინანსება.

ამაზე საუბარი ჯერ ხელისუფლების მომხრე არასამთავრობო ორგანიზაციებმა თუ ე.წ. ექსპერტებმა დაიწყეს მაშინ, როდესაც ძალიან ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებებს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ. ბოლო პერიოდში კი ამაზე უკვე ხელისუფლება ღიად საუბრობს და ამიტომაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე, ხელისუფლების მთავარი ამოცანა ივანიშვილთან დაკავშირებით არსებული სტატუსკვოს შენარჩუნებაა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება მას მოქალაქეობას არ აღუდგენს. ან პროცედურას გაჭიმავს ისე, რომ არჩევნებისთვის ეს ვერ მოესწროს. უკვე ცნობილია, რომ საფრანგეთი ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობის მიღებამდე მოქალაქეობას არ შეუწყვეტს.

ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ იურისტთა ჯგუფის ადვოკატმა ზაქარია ქუცნაშვილმა 11 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ქუცნაშვილის თქმით, საფრანგეთის მთავრობამ საელჩოს მეშვეობით 2012 წლის 9 იანვრით დათარიღებული ცნობა გამოაქვეყნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა, რომელიც მოქალაქეობის შესახებ 1997 წლის 6 ნოემბრის ევროპული კონვენციის მონაწილეა, ბიძინა ივანიშვილს არ შეუწყვეტს საფრანგეთის მოქალაქეობას მანამ, ვიდრე ის საქართველოს მოქალაქეობას არ მიიღებს.

ქუცნაშვილის განმარტებით, 5 იანვარს სამოქალაქო რეესტრს მიმართეს, რომ ბიძინა ივანიშვილს, ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობა მიეცეს.

„მათ, მაქსიმუმ, 40 დღის ვადაში უნდა გასცენ დასკვნა, რის შემდეგაც, მაქსიმუმ, 10 დღის ვადაში პრეზიდენტმა საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. დღეის მდგომარეობით, პრეზიდენტ სააკაშვილსა და სამოქალაქო რეესტრს, ჯამში, დარჩენილი აქვთ 44 დღე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად“, – განაცხადა ქუცნაშვილმა.

მისივე განმარტებით, პრეზიდენტს მიმართეს საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის არა მეორე, არამედ პირველი პუნქტის საფუძველზე, ანუ მოქალაქეობის ნატურალიზაციის გზით მინიჭებაზე.

„თუ მეორე მუხლის შემთხვევაში პრეზიდენტი არ არის ვალდებული, დაასაბუთოს, რატომ არ თვლის მის წარსულ ცხოვრებას დამსახურებად ქვეყნის წინაშე და ამიტომ არ ანიჭებს მოქალაქეობას, ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მიცემაზე უარის შემთხვევაში პრეზიდენტს მოუწევს, მოიყვანოს სამი მიზეზიდან ერთ-ერთი: ივანიშვილი არის ან ტერორისტი, საერთაშორისო ძებნილი ან მისთვის მოქალაქეობის მიცემა საზოგადოებრივი საფრთხის მატარებელია“, – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

მისივე თქმით, ამ სამიდან რომელიმე მიზეზის დასახელებას თეორიულადაც კი გამორიცხავენ.

# სააკაშვილი სცილასა და ქარიბდას შორის



„ტერორისტების სიას ადგენს გაერო, საერთაშორისო ძებნილებისას – ინტერპოლი. ვერც ერთ სიაში ივანიშვილის გვარს ვერ იპოვით. რჩება მიზეზი - საზოგადოებრივი საფრთხის მატარებელი. ასეთად ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ ერთ შემთხვევაში ჩაითვლებოდა - თუ მას ექნებოდა ხელისუფლების რევოლუციურად ცვლილების მიზანი. თუმცა, ბიძინა ივანიშვილმა 7 ოქტომბერს გაკეთებულ განცხადებაში ამ გზით ხელისუფლების ცვლილების ალბათობა გამორიცხა“, - განმარტა ქუცნაშვილმა.

მაგრამ სააკაშვილი რას გააკეთებს, არავინ იცის. ამიტომაც იმის თქმა, თუ როდის შეიძლება მიენიჭოს ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა, ძალიან ძნელია.

მეორე მხრივ, ივანიშვილის პოლიტიკური პარტნიორების მხრიდან უკვე დაანონსებულია, რომ ივანიშვილის პარტია თებერვლის დასაწყისში შეიქმნება. ამ თარიღის შესახებ პირველი განცხადება „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა, ირაკლი ალასანიამ გააკეთა. ამის შემდეგ კი უკვე რესპუბლიკელების მხრიდანაც გაკეთდა განცხადებები, რომ ივანიშვილის პარტია და არა საზოგადოებრივი მოძრაობა იანვრის ბოლოდან უკვე მთელი საქართველის მასშტაბით დაიწყებს მუშაობას.

ამიტომაც ამ ბოლო დღეების განმავლობაში მთავარი კითხვა იყო ის, თუ როგორ მოახერხებდა ივანიშვილი პარტიის შექმნას და დასახელდა რამდენიმე კანდიდატი მისი გარემოცვიდან, ვინც შეიძლება სათავეში ჩასდგომოდა ამ პარტიას.

უკვე ღიად ითქვა, რომ პარტიას სათავეში მისი მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე ჩაუდგება და საპარლამენტო არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას.

ამის შესახებ განცხადება პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ იურისტთა ჯგუფის ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა გააკეთა.

შეგახსენებთ, რომ სააკაშვილის გადაწყვეტილებით მოქალაქეობა ივანიშვილთან ერთად მის მეუღლესაც შეუწყდა. მაგრამ იმის გამო, რომ მას საფრანგეთის მოქალაქეობა საქართველოს მოქალაქეობის მიღებამდე ჰქონდა, ფორმალური მიზეზიც არ არსებობდა, რომ პრეზიდენტს ეს გადაწყვეტილება მიეღო. ამიტომაც სასამართლო იძულებული გახდა, რომ ივანიშვილის სარჩელი ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილებინა და პრეზიდენტის გადაწყვეტილება ეკატერინე ხვედელიძესთან დაკავშირებით უკანონოდ ეცნო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას მოქალაქეობა დაუყოვნებლივ უნდა აღუდგეს.

ამიტომაც, არჩილ კბილაშვილის ინფორმაციით, ეკატერინე ხვედელიძემ მოსამართლეს იმ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თხოვნით მიმართა, რომლის თანახმადაც, მას საქართველოს მოქალაქეობა აღუდგა.

კბილაშვილის განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილება, ჩვეულებრივ, მაშინვე ძალაში არ შედის, რადგან ვიდრე ზემდგომ ორ ინსტანციაში გასაჩივრების ვადები არ ამოიწურება, გადაწყვეტილება კანონიერ ძალას ვერ შეიძენს. „თუმცა, არის გამონაკლისი, როდესაც განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, პირს შეუძლია, მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს და სთხოვოს, გადაწყვეტილების ესა თუ ის ნაწილი მიაქციოს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად“, – განაცხადა კბილაშვილმა და დასძინა, რომ სწორედ ამ უფლებით ისარგებლა ეკატერინე ხვედელიძემ.

ამის მოტივად კი კბილაშვილმა მიმდინარე წლის ოქტომბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები და ეკატერინე ხვედელიძის მასში მონაწილეობის სურვილი დაასახელა.

„წინ არჩევნები გველოდება, შესაბამისად, მოსამართლისადმი გაგზავნილ ეკატერინე ხვედელიძის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მას სურს პოლიტიკური პარტიის შექმნა და პარტიის მეშვეობით კენჭისყრა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. ამ უფლებათა რეალიზებას ვერ შეძლებს, თუ გადაწყვეტილება მისთვის მოქალაქეობის აღდგენის ნაწილში დაუყოვნებლივ არ აღსრულდება. ეს არის განსაკუთრებული გარემოება, რადგან თუ მოქალაქეობის აღდგენის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ არ აღსრულდება, 2013 წელს უკვე მოკლებული იქნება რეალურ შინაარსსა და დატვირთვას“, – აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.

მისივე განმარტებით, განცხადება 5 იანვარს შევიდა და მოსამართლე ამ საკითხს წყვეტს მანამ, ვიდრე საქმე მასთან რჩება.

„საქმე კი მოსამართლესთან დღეიდან 2 კვირის განმავლობაში რჩება, რადგან 27დეკემბრის გადაწყვეტილება მოქალაქეობის აღდგენის შესახებ გუშინ ჩაგვბარდა და მისი გასაჩივრების ვადაც გუშინდელი დღიდან აითვლება“, – განმარტა კბილაშვილმა პრესკონფერენციაზე.

იურისტების განცხადებით, ორი კვირის ვადაში მოსამართლის დადებით პასუხს ელოდებიან ან პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან 27 დეკემბრის გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრებას.

როგორც ჩანს, იანვრის ბოლოს გაირკვევა, სააკაშვილი რას აპირებს. თუკი გადაწყვეტს, რომ ივანიშვილს გზა ბოლომდე ჩაუკეტოს, მაშინ იგი სასამართლო გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს და ამ გასაჩივრებებში საკმაოდ დიდი დროის მოგება შეუძლია. ამასობაში კი არჩევნებიც ჩაივლის.

თუმცა, ისიც გასათვალისწინებელი იქნება, თუ სააკაშვილის ამ გადაწყვეტილებას საერთაშორისო საზოგადოება როგორ შეხვდება და ადვილი წარმოსადგენია, რომ სააკაშვილს მათი უკმაყოფილება არანაირად არ უნდა აწყობდეს. მით უმეტეს იმ საყვედურების შემდეგ, რაც ხელისუფლებამ აშშ-ის საელჩოსგან მიიღო.

იმ შემთხვევაში კი თუ სასამართლო გადაწყვეტილება ძალაში შევა, ხვედელიძეს საშუალება ექნება ივანიშვილის ყველანაირი რესურსი გამოიყენოს. ამას დაემატება ისიც, რომ სააკაშვილი თავად ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას არ აძლევს და საბოლოოდ ეს ყველაფერი საზოგადოებაზე რა გავლენას იქონიებს, არავინ იცის.

**თეონა ხარაბაძე**
Presage.tv

აქტუალური თემა

# „რატომ უნდა გააკეთო ის საქმე, რომელსაც შენ მაგივრად სხვა ისედაც აკეთებს?!“



***პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე Presage.tv-სთან საუბარში აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ ხელისუფლება უპრეცედენტო ნაბიჯებს დგამს და თავისი აგრესიით თავადვე ეწევა ბიძინა ივანიშვილის ყველაზე უკეთეს რეკლამას.***

**— თქვენი შეფასებით, ბიძინა ივანიშვილის მეუღლის, ეკატერინე ხვედელიძის პოლიტიკაში გამოჩენა პერსპექტიული იქნება. რას ეფუძნება თქვენი ოპტიმიზმი?**

— თუ გავითვალისწინებთ, რომ სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად, ბიძინა ივანიშვილის ფიგურა უკვე ამჟამად, როგორც პოლიტიკური ფიგურა, უფრო მეტ ხმას იღებს და უფრო მეტ მხარდამჭერს პოულობს, ვიდრე ოპოზიციურ რომელიმე პარტიას ჰქონია ოდესმე, ეკატერინე ხვედელიძის პოლიტიკაში გამოჩენას პერსპექტივა აქვს. ასევე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამას წინათ ივანიშვილმაც აღნიშნა, თუ თვითონ არ ექნება პარტიის ხელმძღვანელობის შესაძლებლობა, მაშინ რომელიმე მისი ახლობელი ჩაუდგება სათავეში იმ პარტიას, რომელიც ივანიშვილის სახელთან იქნება დაკავშირებული და, რომელსაც უხელმძღვანელებს მისი მეუღლე, ცხადია, პერსპექტივა არსებობს.

დამატებით იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს პარტია, სავარაუდოდ, დაკომპლექტდება იმ ხალხით, ვინც დღეს „ქართულ ოცნებაში“ არიან გაერთიანებულნი, კიდევ უფრო მეტად იზრდება პერსპექტივა იმიტომ, რომ რაც გვიჩვენა „ქართული ოცნების“ თემატური ჯგუფების პრეზენტაციებმა, ამ მიმართულებათა სათავეში საკმაოდ ცნობილი ფიგურები დგანან, რომლებიც ქართული საზოგადოებისთვის ცნობილია და ეს საარჩევნო სია არ იქნება უცნობი ადამიანების სია, რომელიც მარტო ლიდერის გამო აიღებს ხმებს. თვითონ ეს ფიგურებიც ხმებს მოიტანენ იმ პარტიაში, რომელსაც სავარაუდოდ, უხელმძღვანელებს ეკატერინე ხვედელიძე.

**— ნაციონალურ ტელევიზიებში უკვე გაჩნდა შეკითხვა, რატომ არ ენდობა ბიძინა ივანიშვილი თავის პარტნიორებს და რატომ შეაჩერა არჩევანი ეკატერინე ხვედელიძეზე, რომელსაც, როგორც ვიცით, პოლიტიკოსის მონაცემები ამ ეტაპამდე არ გამოუმჟღავნებია?**

— ნაციონალური ტელევიზიები დაინტერესებულნი არიან, რომ განხეთქილება შეიტანონ ბიძინა ივანიშვილის გუნდში და, რა თქმა უნდა, ანალოგიურ რამეს იტყვიან, მაგრამ მე მგონი, ცოტა უხეში ნათქვამია, რომ ივანიშვილი არ ენდობა თავის პარტნიორებს. ნაციონალების მხრიდან ეს პოლიტიკური ბრძოლის ფრაგმენტია. რაც შეეხება იმას, ბიძინა ივანიშვილმა რატომ არ დააყენა თავისი პარტიის სათავეში თავისივე პარტნიორები, როგორ წარმოგიდგენიათ, პარტიის სათავეში რომელიმე პოლიტიკური ლიდერი რომ დაეყენებინა, ეს მისი პარტია იქნებოდა?! ბუნებრივია, ეს იქნებოდა გინდ რესპუბლიკელების, გინდ თავისუფალი დემოკრატების, ან სხვა რომელიმე ლიდერის შესაბამისი პარტია. ეს პარტიები კი ადრეც არსებობდნენ, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც დღეს მივიდნენ „ქართულ ოცნებაში“, ივანიშვილის საზოგადოებრივ მოძრაობაში, ამ პარტიებში არ მიდიოდნენ. ასე რომ, ბიძინა ივანიშვილს იგივე ფიგურები, იგივე პოლიტიკური ლიდერი რომ დაეყენებინა თავისი პარტიის სათავეში, მაშინ ის ადამიანები, ვინც დღეს „ქართულ ოცნებაში“ მიდიან, მასთან ისევ არ მივიდოდნენ.

რაც შეეხება ეკატერინე ხვედელიძის, როგორც პოლიტიკოსის მონაცემებს, ეს გაირკვევა მხოლოდ პოლიტიკურ პროცესში. არ ვიცი, მას რა მონაცემები აქვს, არც ვიცნობ. გამოჩნდება, აქვს თუ არა მონაცემები.

**— ბიძინა ივანიშვილი თებერვლიდან პარტიის შექმნას აპირებს. ხელისუფლებასა და ივანიშვილს შორის ბრძოლა უფრო დაუნდობელი იქნება? აქ ივანიშვილის მხრიდან ბრძოლაზე საუბარი ფიგურალური ნათქვამია, რადგან ის უფრო პასიურადაა. როგორ გესახებათ ბიძინა ივანიშვილის პარტიის შექმნის შემდეგ „ნაციონალების“ ქმედებები?**

— ნაციონალები ძალიან ხშირად იცვლიან სტრატეგიას. ამდენად, ვერ გეტყვით, როგორი იქნება მათი ქმედებები. მაგალითად, სულ ახლახან ინფორმაცია გავრცელდა, რომ მათ დააბრუნეს „ქართუ“ ბანკიდან ამოღებული თანხა, მაშინ, როცა ადრე ეს ფული ამოიღეს. ეს სულ სხვადასხვა ნაბიჯებია. ან რატომ ამოიღეს, თუ აბრუნებდნენ?! ან რატომ დააბრუნეს, თუ ადრე ფული ამოღებული ჰქონდათ?! ეტყობა, მათშივე არ არის საბოლოო სახით ჩამოყალიბებული ერთი რომელიმე სტრატეგია და მათი ბრძოლის სტრატეგიები იცვლება. ამიტომ რა სახეს მიიღებს სამომავლოდ მათი სტრატეგია, ამას დრო გვიჩვენებს.

**— დაუნდობელ ბრძოლას არ ელით?**

— როგორ არა, ველი, მაგრამ დაუნდობელი ბრძოლა არ ნიშნავს, რომ თოფი აიღონ ხელში, რადგან ძალიან ბევრი თვალი, ბევრი მხარე თვალყურს ადევნებს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. დარწმუნებული ვარ, არც ბანკის ფულის დაბრუნება არ არის მხოლოდ ქართული მმართველი ელიტის გადაწყვეტილება და არც ეკა ხვედელიძისთვის მოქალაქეობის დაბრუნება. როგორც ჩანს, რაღაც გარე ძალებიც მოქმედებენ ხელისუფლებაზე.

**— რამდენად მომგებიან მდგომარეობაშია ივანიშვილი, როდესაც იგი ხელისუფლების აგრესიული მანქანის საპირისპიროდ აგრესიას არ ამჟღავნებს? მომგებიანია კი ეს საზოგადოების თვალში?**

— რა გითხრათ, საზოგადოების თვალს ამოწმებენ ხოლმე სოციოლოგიური გამოკვლევებით. მას მერე, რაც ასეთი პასიურობის დიდი პერიოდი იყო, გამოკვლევა არ ჩატარებულა და, როცა ჩატარდება, ამის მერე უფრო შესაძლებელი იქნება თქვენს შეკითხვაზე პასუხის გაცემა - არის თუ არა პასიურობა მომგებიანი?! მეორე მხრივ, მართალია, პასიურია ივანიშვილი, მაგრამ აქტიურია ხელისუფლება და ამით, პრაქტიკულად, ივანიშვილის გასაკეთებელ მთელ საქმეს ხელისუფლება აკეთებს. ის, რომ ადამიანთა მეხსიერებაში ბიძინა ივანიშვილი დაფიქსირდეს როგორც ხელისუფლების ძირითადი ალტერნატივა და მნიშვნელოვანი ფიგურა, ამისთვის სწორედ ხელისუფლება დგამს უპრეცედენტო ნაბიჯებს და სწორედ ხელისუფლება ეწევა ბიძინა ივანიშვილის ყველაზე უკეთეს რეკლამას. ამიტომ იყოს ივანიშვილი წყნარად, რატომ უნდა გააკეთო ის სამუშაო, რომელსაც შენს მაგივრად სხვა ისედაც აკეთებს?!

**— რატომ არ ფართოვდება ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ შექმნილი ალიანსი? ფართო ოპოზიციურ ერთობას ივანიშვილის კოალიცია კატეგორიულად რატომ გამორიცხავს? რა აჯობებდა მისთვის, გაეფართოებინა კოალიცია თუ პირიქით?**

— ბიძინა ივანიშვილმა პირველსავე წერილებში აღნიშნა, რომ იგი ითანამშრომლებს ყველასთან, გარდა იმ ოპოზიციური პარტიებისა, რომლებიც მას ფსევდოოპოზიციად მიაჩნია. ნაწილობრივ ამაში შეიძლება დაეთანხმო იმ მხრივ, რომ, თუკი ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც არ იქნება ბრძოლაში ისეთივე თავგანწირული, როგორიც თვითონ არის, და, რომელიც ეცდება, ამ ბრძოლის სიმძაფრე შეანელოს, ასეთი პოლიტიკური ძალა გვერდით უფრო უარესია, ვიდრე — ბარიერის საწინააღმდეგო მხარეს.

**— ხომ არ ფიქრობთ, შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილი ნანობს, რომ თავის დროზე წყალგამყოფი გაავლო ზოგიერთ პარტიასა და მას შორის?**

— არა მგონია. დიდი სინანულის ინტონაცია არ ეტყობა. საერთოდ, თქვენ აღნიშნეთ, პასიურიაო და, მართლაც, მისმა დამოკიდებულებებმა რა ცვლილებები განიცადა ამ ხნის განმავლობაში, არც ვიცით. მას გამოსვლა არ ჰქონია, მაგრამ არ ჩანს, რომ ამ პუნქტის გამო ნანობდეს, რადგან არ გამოუხატავს რაიმე იმპულსი, არ გამოუვლენია, რომ სხვა, დავუშვათ საპარლამენტო ოპოზიციასთან, ჰქონოდეს კონტაქტი.

**მანანა ნოზაძე**

გვწერენ

# ვის ესმის ჩვენი ხმა?

ყოველდღე, ცხოვრების ყველა სფეროში, სიახლეებია. ასეც უნდა იყოს, მაგრამ გააჩნია სიახლეს, ვისთვის სასიამოვნოა, ვისთვის — თავზედის საწყევლი!

გამოდის ბატონი პრეზიდენტი და წარმოგვიდგენს სასიამოვნო სიახლეებს. აშენდა, გაშენდა, დამშვენდა, ყვავის დემოკრატია. კორუფცია აღარ არის, უკან ჩამოვიტოვეთ ბევრი მოწინავე ქვეყანა (მიკვირს, რომ არ გვიმტკიცებს, ამერიკასაც გავუსწარითო!). და ეს სიტყვები ისეთი დამაჯერებლობით იფრქვევა მის ბაგეთაგან, რომ მავიწყდება ჩემი შეჭირვებული ყოფა. ჩემნაირები კი ქვეყანაზე უამრავია. მაგრამ პრეზიდენტი ამას როგორ გაიგებს, მაძღარს ხომ ყველა მაძღარი ჰგონია.

საბჭოთა დროს იშვიათად ვხვდებოდით ავად, მაშინ ბევრი სანერვიულო არ გვქონდა, მთავარია, არ ვჭამდით გენმოდიფიცირებულ საკვებს, პრობლემა არ იყო საავადმყოფოში დაწოლა. მიგვიღებდნენ, გვიმკურნალებდნენ, რა თქმა უნდა, უფასოდ, არავითარი თანხის გადახდა, მედმუშაკები მზრუნველად დაგვტრიალებდნენ თავს, ჩვენი სინდისით თუ ვიკისრებდით ნამცხვრის, ან ბონბონერის (ხანდახან — ფულისაც!) მიტანას და ამასაც ძალით ვტოვებდით. მაგრამ დრო შეიცვალა. დღეს საავადმყოფოში მოხვედრა, მკურნალობა შეიძლება სახლკარის გაყიდვად დაგვიჯდეს. ან თვით სიცოცხლის ფასად. წარმოუდგენელი ფასებია დაწესებული, არა გაქვს? — მოკვდი! მედიცინის მუშაკები აქ არაფერ შუაში არიან. მთავრობამ ასე დააყენა საქმე. ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, სხვადასხვა დროს ოთხჯერ მოვხვდი საავადმყოფოში, ახლა კი არა, იმ „ავადსახსენებელ“ საბჭოთა დროს. არსად არც ერთი კაპიკი არ გადამიხდია. დიახ, იყო ასეთი დრო. და აღარ არის.

აი, დღევანდელი ვითარება:

გაუქმებულია ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა, ინფექციურ, დაავადებათა სახელმწიფო პროგრამაში გაზრდილია თანაგადახდა. გაუქმებულია გადაუდებელი მომსახურების გულის ქირურგიული სახელმწიფო პროგრამები, არადა რეფერალური პროგრამით სრულად არის უზრუნველყოფილი ხელისუფლებისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის უფასოდ მომსახურება და ა. შ.

ერთ-ერთ გაზეთში ექიმი ნანა საპანიძე წერს: „მიუხედავად დიდი სურვილისა პაციენტს აღმოვუჩინოთ დახმარება, ხელ-ფეხი შეკრული გვაქვს... 3 წლის შემდეგ ბავშვთა დაფინანსების არც ერთი პროგრამა აღარ არსებობს, მათ შორის არც გადაუდებელი და სასწრაფო შემთხვევებზე. ფაქტობრივად ბავშვები განწირულები არიან, მათ წაართვეს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლება. ჯერ კიდევ 2 წლის წინათ 3 წლამდე ბავშვთა დაფინანსება 100-პროცენტიანი იყო, 3-დან 15 წლამდე კი 80-პროცენტიანი, ამბულატორიულ პროგრამაში 3-დან 6 წლამდე კი 80-პროცენტიანი იყო... ამჟამად ბავშვების მხოლოდ პედიატრთან ვიზიტია უფასო. ისიც ლიმიტირებულად“ და ა. შ.

მგონი საკმაოზე მეტი დავწერე. აი, ასე ზრუნავს ჩვენი მთავრობა საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებზე. ვიღაცას შვილი უკვდება, ვიღაცას და, ძმა, ან მშობელი და ჩვენი მზრუნველი პრეზიდენტი მილიონებს ხარჯავს საკუთარი კლანის კეთილდღეობისთვის, ელიტის გასართობად, ბედის ნებიერთა სიამოვნებისთვის. ჩამოიყვანს ჰოლივუდის ვარსკვლავებს. უხდის მილიონებს და ამ დროს ხალხი შიმშილობს, წლები ისე გავა, ზოგიერთი გაჭირვებულის (ასეთები კი დაუთვლელია!) ოჯახში ერთი გრამი ხორციც კი არ შედის. ასეთებს, მგონი, დაავიწყდათ ხორცის გემოც კი.

ბატონო პრეზიდენტო, არა ერთხელ მოგწერეთ ასეთი ტკივილიანი წერილი. რა თქმა უნდა, ისინი თქვენამდე ვერ აღწევს. ბევრი-ბევრი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდოს. მაგრამ... დიდი ამბავი თუ დროდადრო მშიერი ძაღლებივით ავყმუილდებით. „ყბედი რამ დალალა და მუნჯმაო“. ჩვენც დავმუნჯდებით. ან რისთვის შემოგჩივით ყოველივე ამას?

დიდი ამბავი თუ შიმშილით გავწყდებით. ჩვენ არ ვიქნებით, სხვა მოვა. სხვა, რა თქმა უნდა — გადამთიელი, თქვენი მიზანიც ხომ ესაა. ისე, ხომ არ აჯობებდა ერთი ველოსიპედის „ძეგლი“ ქ. გორში, სტალინის ძეგლის ადგილზე დაგედგათ, უკიდურეს შემთხვევაში — კვერცხების „ძეგლი“ მაინც. მკვდრებზე შურისძიებაც ხომ გმირობაა.

სადამდემივედით? არადა, ჯერსადავართ!

**ზინა ლობჟანიძე,**
კურორტი აბასთუმანი
12.01.2012

ჩვენი პრესდაიჯესტი

### „ვერ ვგრძნობ, რომ ბიძინა ივანიშვილი საკუთარ გარემოცვას მართავს“...

— ამბობს ყოფილი სახალხო დამცველი და ასევე ყოფილი ცესკოს თავმჯდომარე ნანა დევდარიანი, — მექმნება შთაბეჭდილება, რომ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაში პოლიტიკური ეჭვიანობა პიკს აღწევს... კარგი ორგანიზების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, სასურველი შედეგის მიღწევა შეიძლება, თუმცა სააკაშვილს ერთ თვისებას ვერ წაართმევ — ის ყოველთვის გრძნობს საფრთხეს, ამდენად არჩევნებსაც მაშინ დანიშნავს, როცა საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული იქნება.

**„ვერსია“.**

### ახლადგახსნილ საავადმყოფოებში ექიმებს მუშაობა უხელფასოდ უწევთ

სადაზღვევო კომპანიებს, საავადმყოფოების გადამზადების გამო, ექიმების ხელფასებისთვის გადასახდელი ფული არ დარჩათ. საქართველოს მასშტაბით სამედიცინო პერსონალს მიზერული ხელფასი დაუნიშნეს, ბევრ საავადმყოფოში ამ მინიმალურ ოდენობასაც ვერ უხდიან.

**„რეზონანსი“.**

### როდის გავა ივანიშვილის ტელევიზია პირდაპირ ეთერში

მედიაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ ივანიშვილი უკვე აყალიბებს ახალ არხს, რის შესახებაც „ქართული ოცნების“ პრესსამსახური თავიდან დუმილს ამჯობინებდა. თუმცა, გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ ეს ხმები ჭორი სულაც არ არის.

— ვადასტურებთ ინფორმაციას, თუმცა ჯერ არ არის ცნობილი, რა ერქმევა ტელევიზიას და როდის გავა ეთერში. ამ ეტაპზე მხოლოდ შიდა სამუშაო პროცესები მიმდინარეობს, — აღნიშნეს „ქართული ოცნების“ პრესსამსახურში.

**„ახალი თაობა“.**

## სოციალური დემოგრაფია

# „არც ერთი იყო ვენეციელი...“

**სტატისტიკამ, მოგეხსენებათ, მთლად ყველაფერი თუ არა, ყოველ შემთხვევაში უამრავი რამ რომ იცის, ფაქტია. ჰოდა, მიუხედავად სახელისუფლებო ტრიბუნებიდან ხმამაღალი მოწოდებებისა საქართველოში ემიგრირებულთა დაბრუნებებზე, საზღვარგარეთიდან ჩამოსულთა რიცხვის ლამის ყოველკვირეულ ზრდაზე, გაეროს საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, სადღეისოდ საქართველო იმ ქვეყანათა პირველ ათეულშია მყარად დამკვიდრებული, რომელთა მოქალაქეები ამა თუ იმ მიზეზით სამშობლოს ფარგლებს გარეთ თავშესაფარს სხვებზე ხშირად ითხოვენ.**

აღნიშნავენ იმასაც, რომ უცხო ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეები ხშირ შემთხვევაში ტურისტების სტატუსით ჩადიან, თუმცა უკან დაბრუნებას არ ჩქარობენ, სამუშაოს ძებნას, გარკვეული უფლებით ამა თუ იმ ქვეყანაში დამკვიდრებას ცდილობენ და ზოგჯერ მიზანსაც აღწევენ. ზოგიც კრიმინალურ გზას ირჩევს, რის მაგალითები, განსაკუთრებით ბოლო დროს, სამწუხაროდ, მრავლადაა. აღსანიშნავია ისიც, რომ სადღეისოდ საქართველოდან საცხოვრებლად გასულ იმ არაოფიციალურ დაახლოებით მილიონი კაციდან უკანასკნელ წლებში მრავალი უკან სამშობლოში დაბრუნდა, რასაც ერთი მხრივ, ხელისუფლების მიერ სამუშაო ადგილების დაპირებებმა, მეორე მხრივ, ევროპის ქვეყნებში თავშესაფრის მიღების პროცედურის საგრძნობმა გართულებამ შეუწყო ხელი. კერძოდ, საქმე ისაა, რომ ევროპაში ცხოვრების უფლებაზე უარის მიღების შემთხვევაშიც კი ადრე მიგრანტს კონკრეტულ ქვეყანაში რამდენიმე წლის მანძილზე ყოფნა და, წარმოიდგინეთ, მუშაობის უფლებაც ჰქონდა. დღესდღეობით კი ეს ვადა სულ 3 თვითაა შეზღუდული, ზოგჯერ ნაკლებითაც. ამ გარემოებამ, ბუნებრივია, მიგრანტთა სამშობლოში „საკუთარი სურვილით“ დაბრუნებულთა რიცხოვნობის ზრდას შეუწყო ხელი. მნიშვნელოვანი გარემოებაა ისიც, რომ სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში უკან სამშობლოში დასაბრუნებლად გამზადებულ ხალხს გარკვეულ, ზოგჯერ საკმაოდ სოლიდურ (დაახლოებით ოთხი ათას ევრომდე) თანხას უხდიან.

როგორც ცნობილია, საქართველოდან მოსახლეობის მიგრაციის უახლეს ისტორიაში პირველი უმძლავრესი ტალღა მე-20 საუკუნის 90-იან წლებზე მოდის, რომლის უმთავრესი მიზეზი იმ ხანებში ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გახდა. უკეთესი ცხოვრების მაძიებელთა რიცხვს მოგვიანებით აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით ადგილნაცვალი პირებიც შეუერთდნენ, რომლებმაც საქართველოს სხვა რეგიონებში ვერც საცხოვრისი იშოვნეს ხეირიანი, ვერც სამუშაო. ამან ქვეყნის დემოგრაფიული ბალანსი მკვეთრად უარყოფითი გახადა და ეს პროპორცია დღესდღეობითაც ვერაა გამოსწორებული.



აღსანიშნავია, რომ საქართველოდან მოსახლეობის იძულებით გადასახლების პირველი პრეცედენტი ჯერ კიდევ 1940-იან წლებში მოხდა, როცა უმოკლეს ხანში მესხეთ-ჯავახეთიდან ეგრეთ წოდებული „თურქი მესხები“ გაასახლეს. 1999 წელს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, საქართველოს ხელისუფლებამ 1944 წელს გასახლებული მოსახლეობის რეპატრიაციასთან დაკავშირებით სათანადო საკანონმდებლო საფუძვლის შექმნის ვალდებულება იკისრა. იმდროინდელი განცხადებით, პროცესი სამ წელიწადში, ანუ 2002 წელს უნდა დაწყებულიყო და შარშან დასრულებულიყო, თუმცა მრავალ სოციალურ-ეკონომიკურ თუ საგარეო პოლიტიკურ მიზეზთა გამო ამ ამბის დასრულება საგაისოდ გადაიდო.

არსებული ინფორმაციით, ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მუდმივად საცხოვრებლად და სამუშაოს უფლების მოსაპოვებლად საჭირო ნებართვის მიღების (ეგრეთ წოდებული გრინ-ქარდების) მსურველი ყოველწლიურად დაახლოებით ათი ათასი კაცია, თუმცა შესაბამისი საბუთების მიღებას მათგან ათი პროცენტი თუ ახერხებს. ამიტომაა, რომ ხალხი საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლას ტურისტული, ან სტუმრის ვიზებით ცდილობს, რის შედეგად მათ სათანადო საემიგრაციო სამსახურები აკავებენ და სამშობლოში აბრუნებენ. ვითარების დამძიმების მიზეზები ერთი რომ ევროპის მდიდარ და „დავარცხნილ“ ქვეყნებში კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილის, ყოფილი ვარშავის პაქტის ქვეყნებიდან, ასევე პოსტსაბჭოური სივრციდან და, ბოლო დროს, არაბეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკის სხვა სახელმწიფოებიდან არეულობებს გამოქცეულ მიგრანტთა უმძლავრესი ნაკადია, ასევე მიმდინარე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც წარმოების საკმაოდ დიდი სეგმენტის დახურვა და მრავალი ათასი სამუშაო ადგილის გაუქმება გამოიწვია. მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებში იქიდან ლტოლვილი მოსახლეობის დაუბრკოლებლად დაბრუნების შეუძლებლობა.

მიუხედავად ამისა, უსამართლობა იქნებოდა არ აღგვენიშნა, რომ ბოლო წლებში უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ თანამემამულეთა რიცხოვნობა მატულობს, თუმცა ისიც კია, რომ საბერძნეთისკენ, გერმანიისკენ, რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატებისკენ ჯერჯერობითაც მაინც ბევრი ჩვენი თანამოქალაქე მიილტვის.

მეტად მნიშვნელოვანია საქართველოდან საზღვარგარეთ გასვლის რეჟიმის საერთო გაადვილების ტენდენცია, რომელიც, ცხადია, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია. მაგრამ, საქმე ისაა, რომ სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის გამარტივების შემდეგ საქართველოდან არალეგალურ მიგრანტთა რიცხოვნობა მოიმატებს, ამის პროპორციულად კი ასევე მოიმატებს იძულებით დეპორტირებულ ჩვენს თანამემამულეთა ოდენობა, რადგან არალეგალურ მიგრანტთა მიმართ წესები უკვე გაამკაცრეს მანამდე ამ მხრივ ისეთმა შემწყნარებელმა ქვეყნებმა, როგორიც, მაგალითად, ლატვია და ნორვეგიაა. ამასთან, გამოთქვამენ ეჭვს იმის თაობაზეც, რომ მას შემდგომ, რაც ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში ვნებათაღელვები მეტ-ნაკლებად ჩაცხრება, შესაძლოა საქართველოდან არალეგალურ მიგრანტთა ნაკადმა მიმართულება გარკვეულწილად იცვალოს კიდეც და ის ცნობილი თქმა – არც ერთი იყო ვენეციელი, არც მეორე ფრანგი, კვლავაც აქტუალური გახდეს.

**ოთარ ტურაბელიძე**

## რეიტინგი

# ნორვეგიასა და საფრანგეთსაც კი ვჯობნით თურმე, მაგრამ...

## რამდენად თავისუფალია ეკონომიკა საქართველოში

**საქართველომ, შარშანდელთან შედარებით, 5 ადგილით დაიხია უკან და 34-ე ადგილი დაიკავა „ჰერიტიჯ ფაუნდეიშენისა“ და „უოლ სტრიტ ჟორნალის“ 2012 წლის ანგარიშში, რომელიც „ეკონომიკური თავისუფლების“ მდგომარეობას 179 ქვეყანაში აფასებს. 12 იანვარს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, საქართველოს უკუსვლა, მაგალითად, სამართლიანი სასამართლოსა და კორუფციის ფაქტორებს უკავშირდება, მაგრამ საქართველო, ეკონომიკური თავისუფლების საერთო მაჩვენებლით, მაინც უსწრებს წინ ევროპის ბევრ წამყვან ქვეყანას. რას ნიშნავს ეს?**

თუკი გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მაჩვენებელი უკეთესია, ვიდრე მაგალითად, ნორვეგიის, ისრაელის, უნგრეთის, ბელგიის, პოლონეთისა და თვით საფრანგეთისაც კი, ადვილი მისახვედრია, რომ „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ ქვეყნებს ცხოვრების დონისა და კეთილდღეობის მიხედვით არ ალაგებს.

**„ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უფრო მდიდრები ვართ, ვიდრე, მაგალითად, ბელგიელები... უბრალოდ, ბევრი რამ ჩვენთან უფრო მარტივია რეგულირების თვალსაზრისით, კომპანიის რეგისტრაციის თვალსაზრისით და ასეთი ტექნიკური საკითხები ჩვენთან უფრო სწრაფად გვარდება, ბარიერებისა და ბიუროკრატიული დანახარჯების გარეშე. ამ თვალსაზრისით ვუსწრებთ ჩვენ ევროპის ქვეყნებს“,** – ამბობს რადიო თავისუფლებასთან საუბრისას „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტი პაატა შეშელიძე, რომლის ორგანიზაციაც „ჰერიტიჯ ფაუნდეიშენისა“ და „უოლ სტრიტ ჟორნალის“ ყოველწლიური ანგარიშისთვის ინფორმაციის ერთ-ერთი წყაროა.

შეშელიძისთვის ცხადია, რომ „ეკონომიკური თავისუფლების“ ეფექტიანობის შედეგების დანახვას საქართველოში კიდევ წლები დასჭირდება და სწორედ ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება „ჰერიტიჯ ფაუნდეიშენის“ წამყვანმა ექსპერტმა და “ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ ერთ-ერთმა ავტორმა ჯეიმს რობერტსმაც. ლექცია-სემინარის გასამართად ის საქართველოს შარშან მაისში სტუმრობდა:

**„ბევრი წელი სჭირდება ამ პოლიტიკის გაგრძელებას, ვიდრე ხალხი რეალურ სარგებელს დაინახავს. რაც განასხვავებს საქართველოს ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნისგან, ეს ის არის, რომ შეიძლება ევროპულ ქვეყნებს უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვთ, მაგრამ ის ქვეყნები წლების განმავლობაში მისდევენ ამ პოლიტიკას კერძო საკუთრების უფლების დაცვით და ხალხი ხედავს ამ პოლიტიკის სარგებლობას. იმავე დონის მისაღწევად, – თუკი საქართველო გააგრძელებს ამ პოლიტიკას, – დამატებითი დროის ხარჯზე, ხალხი აქაც დაინახავს მის სარგებლობას“.**

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ „ეკონომიკური თავისუფლების 2012 წლის ინდექსში“ ასახულმა უმნიშვნელო ვარდნამ მსოფლიო მასშტაბით, კვლევის ავტორთა ინფორმაციით, „სასტიკი“ შედეგები გამოიწვია სუსტი ეკონომიკური განვითარების, ფისკალური კრიზისისა თუ უმუშევრობის დონის ამაღლების კუთხით. ანგარიშის თანახმად, ამ მხრივ ყველაზე დიდი ზარალი ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებმა ნახეს. აქვე ვთქვათ, რომ „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“ შეერთებული შტატები მე-10 ადგილს იკავებს, პირველობას კი უკვე მე-18 წელიწადია ინარჩუნებს ჰონგ კონგი. მას სინგაპური და ავსტრალია მოჰყვება.

„ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ დგება 10 სპეციფიკური კომპონენტის გაანალიზების შედეგად და ეს კომპონენტები ერთიანდება 4 ჯგუფში: „კანონის უზენაესობა“ მოიცავს საკუთრების უფლებასა და კორუფციისგან თავისუფლებას; „შეზღუდული მმართველობა“ – ფისკალურ თავისუფლებასა და სახელმწიფო ხარჯებს; „რეგულირების ეფექტიანობა“ – ბიზნესის თავისუფლებას, შრომის თავისუფლებასა და მონეტარულ თავისუფლებას; ხოლო „თავისუფალი ბაზარი“ – ვაჭრობის თავისუფლებას, ინვესტირების თავისუფლებასა და საფინანსო თავისუფლებას.




მართალია, საქართველოში ბიზნესის დაწყება, მინიმალური კაპიტალის გარეშე, ორ დღეშიც არის შესაძლებელი და ეს ფაქტი „ინდექსის“ ავტორებმაც სათანადოდ დააფასეს, მაგრამ როგორც ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის (CIESRძ აღმასრულებელი დირექტორი დავით ნარმანია აღნიშნავს ჩვენთან საუბრისას, პრობლემები საქართველოში სწორედ ბიზნესკომპანიის სწრაფად შექმნის შემდეგ იჩენს თავს:

**„ბიზნესის ასაწყობად არახელსაყრელია საბანკო კრედიტის მაღალი საპროცენტო განაკვეთი... სერიოზული პრობლემაა ბაზარზე მონოპოლიური კომპანიების არსებობა და საკუთრების უფლების დაცვასა და, ეკონომიკური დავების მოგვარების კუთხით, სასამართლოს მოუწესრიგებლობასთან დაკავშირებული საკითხები.“**

ნაწილობრივ სწორედ სასამართლოს სისტემის, კორუფციისა და საკუთრების უფლების პრობლემებს უკავშირდება საქართველოს უკან დახევა „ეკონომიკური თავისუფლების“ 2012 წლის ინდექსში. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ, „გარკვეული რეფორმების მიუხედავად, მართლმსაჯულება კვლავაც რჩება პოლიტიკური ზეგავლენისა და კორუფციის სამიზნე“. იმის გარდა, რომ, „კანონის უზენაესობის“ ჯგუფის მიხედვით, საქართველო უკვე წლებია დაბალ ქულებს იმსახურებს, „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტი პაატა შეშელიძე ანგარიშში ასახულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას გამოყოფს:

**„ბოლო სამი წელია, ძალიან გაიზარდა სახელმწიფო ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში, რაც ნეგატიურად აისახება ამ ტიპის კვლევებში. როდესაც სახელმწიფო ფულს ხარჯავს, ჯერ ერთი, ის გადასახადების სახით აკრეფილ თანხებს იყენებს და მეორეც – ის მოიხმარს რესურსებს, რომლებსაც კერძო სექტორი უფრო რაციონალურად გამოიყენებდა“.**

მართალია, ძალიან მცირეა სხვაობა შარშან და წელს მიღებულ საერთო ქულებს, 70.4-სა და 69.4-ს, შორის, მაგრამ 2012 წლის „ინდექსში“ საქართველო მაინც 5 ადგილით ჩამოქვეითდა და, ამასთან, მან „ძირითადად თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფიდან „საშუალოდ თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფში გადაინაცვლა. თუმცა ასეთი რეიტინგითაც კი საქართველო, ესტონეთისა და ლიტვის შემდეგ, მე-3 ადგილს იკავებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის. რაც შეეხება მეზობელ ქვეყნებს, „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“ სომხეთი 39-ე ადგილს იკავებს, აზერბაიჯანი – 91-ეს, ხოლო რუსეთი 144-ე ადგილზეა.

**ლელა კუნჭულია,**
**რადიო „თავისუფლება“**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №185

# მამის სახე დროის მანძილიდან

სისადავე და შორეულის განჭვრეტის უნარი, რაც ძირითადად სიმწიფის ასაკში მოდის, მწერალს, დიდ ესთეტს გერონტი ქიქოძეს ყველაზე ახალგაზრდულ წლებშიც ახლდა. თუმცა, რამდენიმე შეცდომა წინასწარმეტყველებაში ალბათ მაინც დაუშვა და ისიც უკეთეს მომავალზე ოცნებით...

როგორც ჩანს, **გერონტი ქიქოძე,** ბერნის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ევროპული კულტურის ადეპტი საქართველოში, სათანადოდ ვერ ან არ აფასებდა ბოლშევიზმის პოტენციურ შესაძლებლობებს თუ საერთაშორისო პოლიტიკას და მაშინაც კი, როდესაც ბათუმი დავკარგეთ, (1918 წელს, პეტროლივსკის საზღვაო მოლაპარაკების შემდეგ), არ დაუკარგავს, იმედი.

პირად წერილში, რაც პუბლიკაციისთვის არ იყო გამიზნული და, რა თქმა უნდა, ცენზურას არ ითვალისწინებდა, მწერალი „შიშიანობას“ გადაჭარბებულად მიიჩნევს: **„იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ქარიშხალი გაივლის და წყნარი დღეები გაგვითენდება“.**

წერილის ადრესატი გახლავთ ევროპაში ახლადჩასული მხატვარი **შალვა ქიქოძე,** რომელიც სრულიად ახალგაზრდულ ასაკში მძიმე სნეულებით აღესრულა და დაკრძალულია გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგში.

***ძმაო შალვა,***

***შენი წასვლის შემდეგ აქ ისეთი არაფერი მომხდარა, რაც შენ არ იცოდე. მოკავშირეებმა გვცნეს, შემდეგ ბათომი ჩამოგვართვეს. მე პირადად არც ერთ ამ ამბავს დიდს მნიშვნელობას არ ვაწერ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ანტანტა ისეთ მდგომარეობაში არ არის, რომ თავისი ნებისყოფა საბოლოოდ თავს მოგვახვიონ. უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ბოლშევიკების მოახლოებას. აქ ზოგიერთ წრეებში დიდი შიშიანობაა ამის გამო, რაც მე გადაჭარბებულად მიმაჩნია...***

***ახლა ხომ დარწმუნდი რომ ევროპული ხელოვნება დღეს დეკადანსს განიცდის და არაფრის მიცემა არ შეუძლია მხატვრისათვის. ევროპაში დღეს ყველაფერი ბაზრისათვის არის: არა მარტო საქონელი, არამედ ლამაზი ქალები, ნიჭი, სინდისი, მწერლობა. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ მაინც ბევრ რამეს ისწავლი პარიზში: ძველს მუზეუმებში — როგორც მხატვარი, ქუჩებსა და ყავახანებში — როგორც ადამიანი.***

***ესეცაა რომ იმათთვის ვისაც რაიმეს შექმნა უნდა, არც ჩვენში დაწყებულა ნამდვილი ცხოვრება. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ქარიშხალი გაივლის და წყნარი დღეები გაგვითენდება. იმ დროისათვის შენ უნდა დაბრუნდე უფრო ღონიერი და მომწიფებული ვიდრე იყავი, როცა წახველი. ყველაზე უფრო ეცადე სხეულისა და სულის ჯანმრთელობა შეინარჩუნო: ეს არც ისე ადვილია, მაგრამ ძალიან საჭირო კია; უამისოთ ყოველი ნიჭი ამაოა. — ყველა ჩვენებმა მოგიკითხეს და მეც მეგობრულ სალამს გიძღვნი.***

***შენი გერონტი.***

* * *

გერონტი ქიქოძის ქალიშვილი ისტორიკოსი **მანანა ქიქოძე,** რომელიც თავისი განუმეორებელი ხიბლით და სულისკვეთებით ძალიან დააკლდა ქართულ საზოგადოებას, ცხოვრების ბოლო წლებში, სარეცელზე მიჯაჭვულიც კი წერდა მოგონებებს მამაზე. ეს გახლავთ დროის დისტანციიდან დანახული



გერონტი ქიქოძე

ეპოქა, გარემო, ადამიანები...

საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“ პროგრამაში „დროის ჩანაწერები“ ამზადებს გადაცემას მშვენიერ მანანა ქიქოძეზე, პოეტების და მხატვრების მუზაზე.

ქალბატონ მანანას ქალიშვილმა **მაია ციციშვილმა** დედის არქივიდან რამდენიმე ძალიან საინტერესო მოგონება გაგვაცნო, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ და ანონსის სახით, იმ იმედით, რომ ამ წიგნის გამომცემლები გამოჩნდებიან, „კვირაძალს საკითხავში“ ორ მასალას გაგაცნობთ. აქედან ერთი მხატვარ შალვა ქიქოძეს ეძღვნება.

ავტორი — მანანა ქიქოძე, საკუთარ პერსონას უკან წევს, მოგონებებში არ ისმის პირადი პათოსი და თითქოს ყველაფერი ძვირფასი მამის თვალთახედვითაა დანახული.

## შალვა ქიქოძე

*არ შემიძლია დიდი პატივითა და სიყვარულით არ მოვიგონო მამას ბიძის, გერასიმე ქიქოძის ვაჟი შალვა ქიქოძე, რომელიც დღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოდერნისტ მხატვრადაა აღიარებული. იგი იყო ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი. მამას კაბინეტში მისი ათი საუკეთესო სურათი ეკიდა: „უდროოდ დაღუპული მეგობრისადმი მიძღვნილი“, „პარიზის კაფეში“, „ლუქსემბურგის ბაღი“, ავტოპორტრეტები, მისი ცნობილი „თოჯინები“, აგრეთვე გერონტი ქიქოძისა და შალვა ამირეჯიბის შარჟები და სხვა.*

*შალვა 1894 წ. სოფ. ბახვში დაიბადა. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დასრულების შემდეგ 1914 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა. 1916-1918 წწ. პარალელურად მოსკოვის ფერწერის, ქანდაკების და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში სწავლობდა. 1920 წელს „ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ“ იგი პარიზში მიავლინა. საფრანგეთში ყოფნის დროს წელიწადნახევრის განმავლობაში, მან შექმნა ფერწერულ ნამუშევართა უმეტესი ნაწილი. 1921 წელს ლადო გუდიაშვილსა და დავით კაკაბაძესთან ერთად, თავისი ნაწარმოებები გალერეაში გამოფინა.*



*შალვას მამასთან მიმოწერა ჰქონდა — პირდებოდა ევროპული ფერწერის შესახებ წერილების გამოგზავნას და სთხოვდა, რომ პრესაში გამოექვეყნებინა. მამაც მოლოდინში იყო, მაგრამ შალვას ეს არ დასცალდა.*

*თანამედროვე გერმანული ხელოვნებისადმი განსაკუთრებული ინტერესის გამო, იგი გადავიდა ფრაიბურგში (გერმანია), მაგრამ ტუბერკულოზით დაავადებული, 1921 წელს, 27 წლის ასაკში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. ქართველმა მეგობრებმა ღირსეული საფლავი გაუკეთეს, რომელიც დღესაც წესრიგშია.*

*ჩვენს ბინაში მისი სული ტრიალებდა, რადგანაც მისი საუკეთესო ნამუშევრები ჩვენს სახლში იყო გამოფენილი, ჩვენთან შესისხლხორცებული და ჩვენთან ერთად ხანგრძლივად ცხოვრობდა.*

*რომ 16 წლის გავხდი, მამამ თავისი სამუშაო ოთახი დამითმო. ერთმანეთს ხელს არ ვუშლიდით. მე დილიდან შუადღემდე სკოლაში ვიყავი, მამა ამ დროს მუშაობდა — თარგმნიდა ფრანგულიდან და გერმანულიდან შემდეგ კი თბილისის თავისი საყვარელი უბნებისკენ სასეირნოდ მიდიოდა. შეივლიდა მწერალთა სახლში, თავის მეგობრებთან შესახვედრად. იმასაც ხუმრობდა „თუ ჩვენი პოეტ-მწერლების ნაწარმოებებს არ მოვისმენთ, შაშვების გალობას მაინც გავიგონებთო“...*

*ჩემს ოთახში, თვალის გახელვისთანავე, შალვას სურათებისათვის უნდა მეცქირა, რამაც გამიღვიძა მხატვრობის სიყვარული და დიდი გავლენა მოახდინა გემოვნებასა და აზროვნებაზე. ვტკბებოდი ამ სურათებით და ვოცნებობდი ოდესმე შალვას სურათზე გამოსახული ლუქსემბურგის ბაღი მენახა. ოცნება, უკვე მოგვიანებით ამისრულდა და ძალიან ბედნიერი ვიყავი ამით.*

*შალვას და — ანეტა, მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი იყო. ის და მისი მეუღლე კოწო ანდრონიკაშვილი ერთ ხანს რუსეთში იყვნენ და როდესაც თბილისში დაბრუნდნენ, ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. ეს ორი ჩემთვის იმდენად საინტერესო ადამიანი იყო, რომ შემეძლო მთელი დღეები მათთან გამეტარებინა. დედაც ხშირად მგზავნიდა იქ. ვთვლიდი, რომ ისინი ძალიან ახლობლები იყვნენ ჩემთვის.*

*მამიდა ანეტა და მისი მეუღლე, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, უსახსრობის გამო, ჩვენთან დატოვებულ შალვას კოლექციას თანდათან აკლებდნენ თითო-თითო ნიმუშს, რომელთაც ორმოცდაათიან წლებში, სახელმწიფო მუზეუმი გროშებად ყიდულობდა. ცხადია, იმ დროს როგორც ჩვენ, ისე ქართველ ინტელიგენციას, უკიდურესად უჭირდა და მათ სურათების შეძენის საშუალება არ ჰქონდათ.*

*ყოველი სურათის წაღების შემდეგ მე ერთ სიცოცხლეს ვამთავრებდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სულის ნაწილს მაგლეჯდნენ. ბოლოსდაბოლოს მთელი კოლექცია მუზეუმში აღმოჩნდა. მამიდა ანეტამ მამას აჩუქა ნათელ ფერებში დახატული მამამისისა და თავისი სურათი, რომელიც შესრულების დახვეწილობით და თავისებურებით იქცევდა ყურადღებას. მეც მერგო შალვას ავტოპორტრეტი „შალვა თეთრ ქუდში“, რომელსაც იმჟამად ყურადღება არ მიაქციეს. ასევე მამასა და შალვა ამირეჯიბის შარჟიც დატოვეს.*



მანანა ქიქოძე

*შალვა მამას სწერდა: „ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომელიც ისტორიაში მასიური, უთავბოლო მოძრაობებით არის დატვირთული, რომელშიც ერის ცხოვრება უბადლო ხმლის ნაელავით არის განათებული.“*

*როგორი მართალი იყო იგი.*

*მან წვალებაში დალია სული. მარტოობაში გადალახა სიკვდილის მოსალოდნელი დღეები. შალვამ ძალიან საინტერესო ანდერძი დატოვა, რომელსაც გულისტკივილით ამთავრებდა სიტყვებით, „სჯობს ყოველივე სიკვდილსა, სიცოცხლე სახელოვანი“.*

*შალვას უდავოდ შესწევდა სამშობლოსათვის უფრო მეტის გაკეთების უნარი, მაგრამ არ დასცალდა. თავისი რამდენიმე წლის ნაღვაწი, სხვებისგან განსხვავებული, განუმეორებელი შემოქმედება ქართველ ერს დაუტოვა.*

## საგურამოს სახლი

*1946 წელს მამა და დედა ისვენებდნენ საგურამოს მწერალთა დასასვენებელ სახლში, იმ გარემოს „წინამძღვრიანთკარს“ უწოდებდნენ, სადაც, როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძის სახლი დგას. სწორედ ეს სახლი იყო მწერლების, მხატვრების და ყველა ხელოვანთა დასასვენებელი სახლი. მე ერთი კვირით ჩავედი მათთან. იმ დროს იქ ისვენებდნენ ცნობილი თეატრალური მხატვარი, ღრმად განათლებული სოლიკო ვირსალაძე და მოსკოვის დიდი თეატრის მთავარი მხატვარი იოსებ სუმბათაშვილი. მამა მათთან მეგობრობდა და ჩემთვისაც მათთან ურთიერთობა ძალიან საინტერესო იყო. ეს გამორჩეული ადამიანები ბევრ მნიშვნელოვან თემებს ეხებოდნენ, ხელოვნების ყველა დარგზე გარკვეული აზრი ჰქონდათ, უყვარდათ მამასთან საუბარი და მეც რასაკვირველია სიამოვნებით ვუსმენდი. ეს გარემო ძალიან შთამბეჭდავი და დაუვიწყარი დარჩა ჩემთვის. ფართო ეზოს კუთხეში ქვის შენობა ყოფილა — ილია წინამძღვრიშვილის მიერ დაარსებული სამეურნეო სკოლა. იქვე ტაძარი იდგა, გალავნის გადაღმა ბებერი მუხის ხეები, რომელსაც „ცხრა მუხას“ უწოდებდნენ. არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვით 1795 წელს 11 სექტემბერს თბილისიდან თავდაღწეულმა ერეკლემ ამ მუხების ჩრდილში დაისვენა და პირველი ყალიონი გააბოლა. მამა ამბობდა: „ალბათ, რა ცეცხლი სწვავდა მის გულსო!“. ისიც გვიამბეს, რომ წინამძღვრიანთ სკოლის გახსნისას ილია ჭავჭავაძეს ამ ცხრა მუხის ჩრდილში მიუმართავს გლეხებისათვის და განუმარტავს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-განათლებას ადამიანის არსებობისათვის.*



შალვა ქიქოძე

*საგურამო — წინამძღვრიანთ კარი, სახლი — მოხუცი ილიას უკანასკნელი სავანე, მისი ჭადრის ხე, აუზი, წყარო, ქვის მაგიდები, წიგნები.. ყველაფერი თავ-თავის ადგილას დარჩა, როგორც ორმოცი წლის წინათ. წყარო ისევ ჩქეფდა, ხეები შრიალებდნენ, ბალახი ბიბინებდა, „ღრუბლები მიცურავდნენ მოწმენდილ ცაზე, ირგვლივ ყველაფერი განაგრძობდა ჩვეულებრივ არსებობას. მხოლოდ არ ჩანდა მისი პატრონი. ის თითქოს დროებით იყო წასული, მისი სული კი ტრიალებდა“... იმ დროს, საგურამოში ჩვენთან ერთად ცნობილი ლიტერატორი ლევან ასათიანი ისვენებდა, რომელიც, როგორც მახსოვს, ილიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მუშაობდა. მახსოვს, მან ერთხელ განაცხადა: „ეს მიდამო ეშაფოტია დიდი ქართველისაო! რა გულდასაწყვეტია, რომ ასეთმა ბუნებამ ვერ შეაჩერა მკვლელის ხელი, დიდი ადამიანის გასაწირავად“ აღმართული. საგურამოსთან, ბებრის ციხის გადაღმა ამართული ობელისკი — სევდიანი ნიშანი იმ ადგილისა, სადაც ტრაგიკულად სიცოცხლეს ამთავრებდა ნატყვიარი მოხუცი, პოეტი... ეგდო გზაზე და მისი სისხლი ერთვოდა მშობლიურ მიწას. მთელი ეს გარემო სევდის მომგვრელი იყო და ამავე დროს ძალიან საყვარელი და ახლობელი....*

## დავით კაკაბაძე

*დავით კაკაბაძესთან მამას, 1940-იანი წლებიდან, ახლო ურ-*

*თიერთობა ჰქონდა. მიიჩნევდა, რომ დავით კაკაბაძე იყო ქართული, ეროვნული მხატვრული სკოლის ფუძემდებელი და მისი უბრწყინვალესი წარმომადგენელი. გერონტი ამტკიცებდა, რომ „დავითი იყო არა მარტო ნახატის დიდი ოსტატი, არა მარტო დიდი გემოვნების ხელოვანი, არამედ დიდი მორალური შეგნების მოქალაქე“. გერონტი შესანიშნავად ხედავდა, თუ რამდენად ჩასწვდა იგი საქართველოს ბუნებასა და ქართველი ადამიანის სულს, რასაც ხელს უწყობდა როგორც საკუთარი მშობლიური ბუნების ზედმიწევნითი შეგრძნება, ისე საერთაშორისო ხელოვნების არსისა და ხასიათის გაცნობა. მამა ამტკიცებდა, რომ დავითი ქართული დეკორატიული ხელოვნების თვალსაჩინო მცოდნედ და უაღრესად დიდ პედაგოგად ითვლებოდა: „მაშინ როცა, იგი სამხატვრო აკადემიაში სამხატვრო კათედრას ხელმძღვანელობდა, ბრწყინვალედ აგრძელებდა თავის შემოქმედებით მოღვაწეობასო“. მამა მიიჩნევდა, რომ დავითი, როგორც პიროვნება უაღრესად მომხიბლავი იყო. მამა იმასაც განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ „მხატვრის გულში მისი კერიის ცეცხლის ალი არასოდეს არ ჩამქრალა და დაშრეტილა“. დავითის შემოქმედების უკეთესი წარმოდგენისათვის, გერონტი ასევე ამბობდა, რომ მას კინემატოგრაფიული გამოგონებანიც ჰქონია და პარიზსა და ჰოლივუდში ალბათ წარმატებულ მომავალს სამშობლოში დაბრუნება ამჯობინა. მან თავისი გონებრივი და ბუნებრივი ენერგია თავის სამშობლოს შესწირა. მამა გვიამბობდა მის მონათხრობს – ნიკო ფიროსმანის სურათების ხელში ჩაგდებისათვის რა არ იღონა. დავითმა იცოდა, რომ უკანასკნელი ათი წელი ნიკო თბილისში ცხოვრობდა თავის მეგობარ მიკიტან ბეგო იაკიევის დუქანში. იქვე შეუქმნია ცნობილი შედევრები „ქეიფი ქალაქგარეთ“, „ქალი დაირით“, „სამშობლო“, „და-ძმა“ და სხვ.*

*1918 წელს ნიკო ფიროსმანაშვილი გარდაიცვალა. დავითი კი თურმე ათი წლის მანძილზე ეძებდა ნიკოს სურათებს და ვერაფრით ვერ პოულობდა. შემდეგ მიუმართავს ავლაბრის მილიციის უფროსისათვის, რომელსაც იგი რიყეზე, ბეგოს დუქანში მიუყვანია. ერთი პირობა ბეგო დამალულა. მაგრამ დავითს მოუხერხებია მასთან კონტაქტის დამყარება და შეხვედრია. ბეგოს უჩვენებია დუქნის ერთი კედელი, რომელიც ნიკო ფიროსმანიშვილს დაუხატია. დავითს რამდეჯერმე დასჭირვებია ბეგოსთან მისვლა, რომ ნიკოს სურათებზე დალაპარაკებოდა და ბოლოს დაუთანხმებია, რომ ამ ნამუშევრებს დავითს მიჰყიდდა. დავითს 3000 მანეთად შეუძენია სურათები, რაც არც თუ პატარა თანხა იყო იმ დროისთვის. დავითს მედუქნისათვის ახალი კედელი აუგია. ათი ფერწერული ტილო წამოუღია. დავითს მამასთვის უთქვამს, რომ მართალია ფიროსმანაშვილს არავითარი აკადემიური სამხატვრო განათლება არ მიუღია, მაგრამ გენიალური შემოქმედი იყო. დავით კაკაბაძე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ნიკოს ნამუშევრები ეროვნული, მხატვრული შემოქმედების ბრწყინვალე გამოვლინება იყო. მისი დაცვა და დაფასება ეროვნულ საქმედ უნდა მიჩნეულიყო. დავითს დიდი ღვაწლი მიუძღოდა ქართული ეროვნული ფერწერისათვის ფიროსმანაშვილის ნამუშევრების გადარჩენისათვის.*


გერონტი ქიქოძე ქალიშვილთან და შვილიშვილთან ერთად

*მამა დავითთან სიკვდილამდე მეგობრობდა.*

*დავით კაკაბაძე შალვა ქიქოძესთანაც მეგობრობდა, თუმცა მათი ურთიერთობის დეტალები ჩემთვის უცნობია, გარდა იმ გულის ამაჩუყებელი წერილებისა და ფოტოებისა, სადაც შალვა და დავითი ჭადრაკს თამაშობენ. მამას ეს სურათი სამუშაო ოთახში ეკიდა.*

# „გზა უნდა განვაგრძოთ“...



*„– ხელი მომკიდე, მომყევი, ნანა... მელაპარაკე რამე...*

*– დაღლილი ვარ და ამ გზას ვერ ავიტან? არა, ნანა, როგორ ვერ ავიტან... ოთხმოცი კილომეტრი ფეხით გასავლელი გვაქვს დათოვლილ ტყეში? მერე რა, დღეს ხომ მხოლოდ ორმოცი უნდა გავიაროთ, დანარჩენი კი – ხვალ... დიდი ხნის მგზავრობით ფეხები მოგვიდუნდა? ჰო, ნანა. მე აღარც მახსოვს, რამდენი ხანია მგზავრობაში ვართ. გახსოვს, შენ რომ ყველაფერზე ისე სასაცილოდ იცოდი თქმა – „წარმოგიდგენია?“... ჰოდა, წარმოგიდგენია, ჯერ მატარებლით ვიარეთ, ვიარეთ, ვიარეთ. მერე ჩრდილოყინულოვანი ოკეანე გავიარეთ, მერე თეთრი ზღვა, მერე პეჩორით ვიარეთ, ვიარეთ, ვიარეთ... მერე ერთ ღამეს გემი პეჩორაში ჩაიყვანა და ჩვენ აძვა-ვომში ნაპირზე გადმოგვიყვანეს. იქაც არ დაგვტოვეს, და ახლა ფეხით ტყე-ტყე გამოგვისტუმრეს. დაღლილები ვართ და მოდუნებულები... მაგრამ ამასაც არა უშავს რა... ჯერ ხომ ახალგაზრდები ვართ, თავს ძალას ვატანთ...“*

*ფრაგმენტი პირველი ქართველი რეჟისორი ქალის, ბერნის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულის, ურთულესი ბიოგრაფიის და ბედის ქალბატონის ნუცა ღოღობერიძის მოთხრობიდან.*

* * *

ლიტერატურის და ხელოვნების მოყვარული საზოგადოება ცოტა ხნის წინათ რამდენიმე მოულოდნელობის წინაშე დადგა: არქივში აღმოჩნდა **ნუცა ღოღობერიძის** შესანიშნავი დოკუმენტური ფილმი; გამოვიდა მისი მოთხრობების წიგნი; გაირკვა ამ საოცარი პიროვნების სულიერი ცხოვრების ზოგიერთი დეტალიც... მისი გზა ხელოვნებაში (იგი ერთი მხატვრული და ორი დოკუმენტური ფილმის ავტორია); ცხოვრება გადასახლებამდე და გადასახლების შემდეგ...

ახალგაზრდობის მეგობარს გერონტი ქიქოძეს ოდესღაც მისთვის უთქვამს: „იდეოლოგია, რომელიც ემყარება დიქტატურას, თავის თავში ტერორის იდეასაც მოიცავს. ტერორი მათი იარაღიც იქნება და ბედისწერაც“... ალბათ რაღაც პარადოქსულიც არის იმაში, რომ ქალბატონი ნუცას მეუღლე ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ლევან ღოღობერიძე გახლდათ.

(„როცა მე შევხვდი, ლევანი ჯერ ახალგაზრდა, ძალიან ლამაზი ბიჭი იყო, ანთებული ხალხის მსახურების იდეით“...)

ნუცა და ლევან ღოღობერიძეების ქალიშვილი ქალბატონი **ლანა ღოღობერიძე** მოგვითხრობს.

**„ციხიდან მამამ მოსწერა დედას (მისი ორი ბარათი, რომელიც მივიღეთ, პაპიროსისათვის ახეულ ქაღალდზე იყო დაწერილი და გასარეცხად გამოგზავნილი ტანისამოსის სარჩულში ჩამალული): – დაწერე, რომ დაშორებული ხარ ჩემთან და დაჭერას გადარჩებიო. ლანაზე იფიქრე და დაწერეო.: – თვითონ მართლაც ასე დაწერა ციხეში შედგენილ ავტობიოგრაფიაში. დედამ ეს არ გააკეთა. ვერ გადადგა ნაბიჯი, რომელიც, ალბათ, ათი წლის საშინელებას გადაარჩენდა, რადგან თვლიდა, რომ ამის მორალური უფლება არ ჰქონდა. რომ ვალდებული იყო, თავისი სინდისის წინაშე, მამასთან მისი სასჯელი გაენაწილებინა. მონანიება! დედასთვის ეს სიტყვა ღრმა და ძალიან პირადი მნიშვნელობით იყო სავსე. მას უნდა მოენანიებია მისი მეუღლის ბოლშევიკური მრწამსი, რომელსაც თვითონ არასდროს იზიარებდა... როგორ, რითი? ალბათ მხოლოდ ციხით და გადასახლებით.**


ნუცა ღოღობერიძე და ლევან ღოღობერიძე

**ასე, თითქმის თავისი ნებით, წავიდა დედა ციხეში.**

**გავიდა წლები, მთელი ათი წელი, და ბოლოს, ის დღეც დადგა, დედას დაბრუნების დღე. პარადოქსულად, ის დარჩა ჩემს მეხსიერებაში არა ბედნიერების, არამედ რაღაც უთავბოლო ფორიაქის და ტანჯვის დღედ.**

**დედა დილას უნდა ჩამოსულიყო, მოსკოვის მატარებლით. წინასწარ გვთხოვა, რომ მე სადგურზე არ შევხვედროდი. სახლი თანდათან ნათესავებით და მეზობლებით ივსებოდა. მე ყველას ვუბღვერდი, მათ მოსვლას უბრალო ცნობისმოყვარეობად აღვიქვამდი, ისინი კი გულაჩუყებულნი, თვალცრემლიანნი მიდიმოდნენ. რომელი საათია? წამდაუწუმ კითხულობდა ვიღაც. დრო, მართლაც არ გადიოდა. მე ერთადერთი სურვილი მქონდა, დავრჩენილიყავი მარტო და ისე დავლოდებოდი დედას... მეზობლები და ნათესავები ერთმანეთში ირეოდნენ, ზოგი სუფრას შლიდა, ზოგი სახლიდან კერძს მოარბენინებდა, ზოგი ისედაც დალაგებულ ოთახს ალაგებდა თავისებურად. ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ვყვიროდი გულში, ვის უნდა ეს საჭმელი, ვის უნდა ეს სუფრა, თავი დამანებეთ, თავი დამანებეთ! ცხადია, არავის ესმოდა ჩემი უხმო ყვირილი. სახლთან მანქანა გაჩერდა. მე ჩემს თავს ვეუბნებოდი, გადი აივანზე, გადი აივანზე და იქიდან შეხედე, როგორ გადმოვა მანქანიდან ის... დედა... მაგრამ არ გავნძრეულვარ. ჩვენი ორსართულიანი სადარბაზო, და მასთან ერთად, მთელი სამყარო ნაბიჯების ხმებმა გაავსო. მე კედელს აკრული ვიდექი, თვალები დავხუჭე. და როცა გავახილე – კარებში იდგა თხელი ქალი, რაღაცით ყველასაგან გამორჩეული, ალბათ, არაჩვეულებრივი იერით და ჩაცმულობით. მაშინვე დავინახე მისი თვალები, ძალიან დიდი და ტანჯვით სავსე. ცოტა ხანს უხმოდ შემომცქეროდა, მერე მოულოდნელად დაბალი ხმით თქვა – ლანა...**

**– მიდი, მიდი, დედაშენთან, – ჩამიჩურჩულა დეიდამ. მე ფეხს ვერ ვიცვლიდი ადგილიდან, ქალს შევცქეროდი, რომელიც ჩემი დედა იყო და რომელსაც არ ვიცნობდი. დეიდაჩემმა ხელით მიბიძგა, მერე რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, დედას მივუახლოვდი და ხელი გავუწოდე. მან ხელში ჩამავლო ხელი, თავისკენ მიმიზიდა და გადამეხვია. ასე ვიდექი ჩახვეული დედასთან და არაფერს ვგრძნობდი უხერხულობის გარდა“.**

* * *

ნუცა ღოღობერიძის დოკუმენტური ფილმის აღმოჩენისთვის ქალბატონი ლანა უდიდეს მადლობას უძღვნის **ლაშა ბაქრაძეს...** თვლის, რომ ეს დედის კიდევ ერთი ანუ, მეორე დაბრუნებაა... და, რა თქმა უნდა, არა მარტო მისთვის... მადლობას უძღვნის ბატონ **გიო ცინცაძეს**, რომელმაც ამ მუნჯურ ფილმ „ბუბას“ შესანიშნავი მესიკალური გაფორმება გაუკეთა.


ნუცა ღოღობერიძე

წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით კომენტარი დაწერა ლიტერატურათმცოდნე ლევან ბრეგაძემ: **„ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანესთან მოწყობილ ბანაკებში ათი წლის განმავლობაში განაწამები ახალგაზრდა ქართველი ქალის, ინტელექტუალის (კინოხელოვანის, ლიტერატურის) მოგონებებია ეს.**

**განუზომელია ამგვარი წიგნების მნიშვნელობა, ვინაიდან მათში შენახულია გამოცდილება, რომელიც იმასაც გვასწავლის, რაოდენ სასტიკი შეიძლება იყოს ტოტალიტარული სახელმწიფო თავისივე მოქალაქეთა მიმართ, და მის მაგალითადაც გამოდგება, მოწინააღმდეგეზე სულიერი აღმატებულობის შეგნება, გაუსაძლის ვითარებაშიც კი, ფიზიკური გადარჩენის მთავარი წინაპირობა რომ არის“...**

* * *

დოკუმენტური ფილმი „ბუბა“, რომლის პრემიერაც ლიტერატურის მუზეუმში გაიმართა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ შედევრის რანგის ქმნილებაა ქართულ ხელოვნებაში. აქ არის სრულიად ორიგინალური ხედვა, ესთეტიკა, რეჟისორის ხელწერა. ფილმის მხატვარია დავით კაკაბაძე...

ნუცა ღოღობერიძე კიდევ ერთხელ „დაბრუნდა“ საქართველოში და მისმა ლიტერატურულმა თუ კინემატოგრაფიულმა ნამუშევრებმა ახალი გზა დაიწყეს.

მისი ერთ-ერთი მოთხრობის გმირი, მარადიულთან ნაზიარები, ამბობს:

„ჰო, მომეცი ხელი, გზა უნდა განვაგრძოთ“...

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა თავი დავით აღმაშენებელს შეადარა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, როდესაც ქალაქ გორში საავადმყოფოს გახსნის საზეიმო ცერემონიაზე გამოდიოდა, გააკეთა რამდენიმე კადნიერი განცხადება (შეგახსენებთ, რომ ეს ქალაქი დიდად დაზარალდა საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დროს 2008 წელს). მაგალითად, როდესაც ქვეყნის განვითარებას აფასებდა, მან დღევანდელი საქართველო შეადარა ცხრა საუკუნისწინანდელ საქართველოს, როდესაც ქვეყანას დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე მართავდნენ. საქართველოს წარმატება, სააკაშვილის სიტყვებით, იმდენად დიდია, რომ რუსეთი „გიჟდება“, მის პოლიტიკურ ოპონენტებს – „მუმიებს“ ვერ გადაარჩენს ვერანაირი რუსული ფული.

უკანასკნელი თვეების განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის ერთ-ერთი ძირითადი მეცადინეობაა სოციალური ინფრასტრუქტურის ახალი ობიექტების გახსნა. მაგალითად, ორი დღის წინათ მან გახსნა საავადმყოფო მცხეთაში, უფრო ადრე გარდაბანსა და ჩაქვში, აგრეთვე საზეიმოდ მიიღო სამთოკურორტი აჭარაში და საცხოვრებელი რაიონი წყალტუბოში, რომელიც აფხაზეთიდან დევნილებისთვის აიგო, წერს „ნიუს რუ.კომი“.

„ჩვენი აღორძინების კურსი შეუქცევადია. ჩვენი კურსი თავისუფლებისკენ შეუქცევადია“, – მოჰყავს ერთ-ერთ გამოცემას პრეზიდენტის სიტყვები.

საქართველო, მისი სიტყვებით, ამჟამად იმყოფება ისეთ ეტაპზე, როგორზეც იგი იმყოფებოდა დავით აღმაშენებლის დროს. „ის, რაც იყო მაშინ თბილისი, დღეს ეს ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიებია... არც ერთ პერიოდში დავითისა და თამარის შემდეგ საქართველოში არ აშენებულა იმდენი, რამდენიც აიგო უკანასკნელი ორი, სამი, ოთხი, ხუთი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ომის შემდეგ“, – განაცხადა სააკაშვილმა.

ახალი ობიექტების გახსნა რეგიონებში კამპანიური ხასიათისა გახდა, რომელთა დროსაც სააკაშვილი დიდ ყურადღებას უთმობს ინფრასტრუქტურის განვითარებას და მუდმივად იმეორებს, რომ, მიუხედავად გარკვეული ძალების მცდელობისა, საქართველოს უკვე ველარ დააბრუნებ წარსულში.



„ვფიქრობ, რომ ის ხალხი, ვინც ჩვენ გვძარცვავდა, გვაღატაკებდა, დღეს ჩემი მეხსიერებიდან გაქრა... ამჟამად ისინი ვილაცამ საიდანღაც ამოთხარა, შეაგროვა ერთად, ისინი ცოტა დაბერდნენ, ზოგიერთი გახდა კიდეც იმიტომ, რომ აღარ შეუძლიათ ისე ჭამონ, როგორც ადრე ხრავდნენ. უფრო გაბოროტდნენ... იქნებ, კართაგენი დაეცეს, ან იქნებ კვლავ დადგეს ჩვენი დრო. ამ ხალხისგან ქართველი ერი გათავისუფლდა რამდენიმე წლის წინათ და საბოლოოდაც... ეს მუმიები ვეღარასოდეს დაბრუნდებიან უკან. მუმიები მხოლოდ ფილმებში ბრუნდებიან“, – დაგვარწმუნა სააკაშვილმა.

„იმპერია აუცილებლად დაემხობა, არ შეიძლება რომ არ დაემხოს“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელსაც მხედველობაში რუსეთი ჰყავდა.

„შეხედეთ, ომის შემდეგ ოთხი წელიც არ გასულა, სად არიან ისინი და სად ვართ ჩვენ. შეხედეთ, რა ხდება მათს ქალაქებში, შეხედეთ, როგორია მათი ეკონომიკური ზრდა, რამდენი ნავთობი და გაზი აქვთ მათ, და მთელი ინსფრასტრუქტურა მათ წისქვილზე ასხამს წყალს. ქვირდება საწვავი, უამრავი კონფლიქტია, და ყოველი მეოთხე ცდილობს ქვეყნიდან გაქცევას. მიუხედავად ამისა, საქართველო, რომელიც მათ ოფიციალურად გარდაცვლილად გამოაცხადეს... ფეხზე დგება“, – სიამაყით შენიშნა სააკაშვილმა.

რუსეთმა „რამდენიმე წლის წინათ საქართველო და პირადად მე პოლიტიკურ ცხედრად გამომაცხადა, მაგრამ ეს საქართველო დღეს ფეხზე დგება“, – დაგვარწმუნა კვლავ პრეზიდენტმა. მაგრამ „დღეს უკრაინაში, მოლდოვაში, შუა აზიაში, კავკასიის ქვეყნებში ხალხი ოცნებობს არა რუსეთზე, არა რუსეთის მოდელზე, ოცნებობს იმის შესახებ, რაც საქართველოშია, – დარწმუნებულია სააკაშვილი. – ის ხალხი, ვინც იბრძვის თავისუფლებისთვის, საქართველოს ხატავს, როგორც მაგალითს, ვისაც უნდა მიბაძოს. და რა უნდა იყოს უფრო დამამცირებელი, რა უნდა იყოს ისეთი, რომ იფიქრო, ბოლო მოგვიღესო?“

МОСКОВСКИЙ МК КОМСОМОЛЕЦ

## საზოგადოება და მომავალი

# „ემიგრანტები“ და „აბორიგენები“

**ინტერნეტმა ადამიანთა ახალი „ციფრულ აბორიგენთა“ რასა წარმოშვა. ეს ის ხალხია, ვინც კომპიუტერთა გარემოცვაში დაიბადა და გაიზარდა, ქსელი კი მათი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. მაშ, რით განსხვავდებიან ისინი უფროსი თაობის ადამიანებისგან?**

„ჩვენს თვალწინ მიმდინარე ციფრული რევოლუცია თავის ტვინს ინტენსიურ ევოლუციას აიძულებს, თანაც აქამდე არნახული სწრაფი ტემპით“, – წერს თავის წიგნში „ონლაინ თავის ტვინი“ ცნობილი ამერიკელი ფსიქიატრი, ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის პროფესორი და დაბერების პრობლემების ეროვნული ცენტრის დირექტორი ჰარი სმოლი.

„წინა პლანზე ახალი, ციფრულ აბორიგენთა რასა გამოდის, რომლებიც პატარობიდანვე ციფრული ტექნიკის გარემოცვაში იზრდებოდნენ, – აცხადებს პროფესორი. – წარმოიდგინეთ: სადღეისო მდგომარეობამდე განსავითარებლად თავის ტვინს რამდენიმე ასეული ათასი წელი დასჭირდა, თანამედროვე ტექნოლოგიების ზეგავლენით მიმდინარე ევოლუციისთვის კი ერთი თაობაც კმარა! ესაა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მოულოდნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი გარდატეხა. მაგრამ, საინტერესოა, რატომ დაემორჩილა ჩვენი ტვინი გარდაქმნას ასე იოლად“? – კითხულობს დოქტორ სმოლი და თავადვე პასუხობს.

ჩვენი თავის ტვინის ჩვეულები გარემოში ცვლილებებისადმი ძალიან მგრძნობიარენი არიან. ევოლუცია კი, დარვინის მიხედვით, ესაა სამყაროსადმი ადაპტაციის უნარი, რომელიც გამუდმებით იცვლება. სამი ათასი წლის წინათ ჩვენს წინაპრებს საკვების მოპოვებისა და დამუშავებისთვის მრავალი დამხმარე საგნის ძებნა და გამოყენება უწევდათ. თავის ტვინის ჩვეულები მაშინაც ვითარდებოდნენ, როცა ჩვენი წინაპრები აზროვნებასა და ენას ეუფლებოდნენ. ახლანდელი ტექნოლოგიური ნახტომი კი მკვეთრად ცვლის საინფორმაციო სივრცეს – **საშუალო სტატისტიკური ახალგაზრდა ტექნოლოგიებთან დღე-ღამეში ცხრა საათის განმავლობაში ურთიერთობს!** მაშასადამე, ახალ თაობას გადარჩენისა და წარმატების მიღწევის მეტი შანსი აქვს, ვიდრე მათ, ვინც შავ-თეთრი ტელევიზორების ხანაში დაიბადა. სმოლი მათ „ციფრულ ემიგრანტებს“ უწოდებს. მაგრამ, მაშინ გამოდის, რომ ამ „ბუნებრივი გადარჩევის“ პროცესში ამ „Next-თაობის“ მშობლები „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდნენ და მათი ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში არ არის.

**– მართლაც, სადღეისოდ თაობათა ახალი კონფლიქტი მომწიფდა, რაც მამებისა და შვილების აზროვნებებს შორის სხვაობითაა გამოწვეული, – დარწმუნებულია დოქტორი სმოლი. – უმცროსი თაობის გონება ახალ ყაიდაზე აკვნიდან ეწყობა და პლასტიურობის წყალობით ციფრულ აბორიგენთა მოუმწიფებელი გონება ყოველივე უჩვეულოს სასწაული სისწრაფით ითვისებს. უფროსი თაობა კი პირისპირ რჩება იმ სამყაროსთან, რომელშიც იმისთვის, რომ კაცი საქმეს იყოს ნაზიარევი, თავის ტვინი იძულებულია მაღალ ტექნოლოგიებს შეეგუოს.**

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბებრებსაც ჰქონიათ საამაყო: თურმე ციფრულ ემიგსანტებსაც, მათი კავშირის დაბერებული ნეირონებით, უამრავი სხვა უდავო უპირატესობა ჰქონიათ.

**– სინამდვილეში ასაკოვანი თავის ტვინიც მთელი სიცოცხლის მანძილზე პლასტიკური და მოქნილი რჩება, – ამშვიდებს „მოხუცებს“ დოქტორი სმოლი. – თავის ტვინის იმ უბნების მობილიზება და სწავლებაა შესაძლებელი, რომლებიც უკვე კონკრეტულ ამოცანებზეა რეზერვირებული. მეტიც: 50 წლის ასაკში ჩვენ ცხოვრების მანძილზე დაგროვილი ცოდნის სისტემაში მოყვანას ვიწყებთ. ამ პრპოცესს ხელს უწყობენ მზარდი გლიალური უჯრედები, საგანგებო „თავის ტვინის წებო“ – თეთრი ნივთიერება, რომელიც უჯრედებს შორის სწრაფ კავშირს უზრუნველყოფს.**



ასევე სიცოცხლის შუა ხანებში თავის ტვინის ორივე ნახევარსფერო ერთად იწყებს მუშაობას და არა ისე, როგორც ეს ახალგაზრობაში ხდებოდა, ანუ ცალ-ცალკე. ეს კი ახალი იდეების სწრაფად მიგნების შესაძლებლობას იძლევა. მთავარი კი ის არის, რომ უფროს თაობას ურთიერთობა შეუძლია. „Next-თაობაში“ კი, რომელიც ჩატებში და სკაიპებშია ჩამჯდარი, პირისპირ ურთიერთობებზე პასუხისმგებელი ნეირონები თანდათან ატროფირდებიან.

– ამიტომ „ციფრულ აბორიგენთა“ თაობა „ციფრული ემიგრანტების“ ყველა უპირატესობის საშიშროების წინაშე დგას, – ესაა პროფესორ სმოლის დასკვნა. – მეტიც: ჩვენ დღემდე არ ვიცით თუ როგორ აისახება მათ თავის ტვინზე დაბერების ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ეფექტები, რადგან მომავლის თავის ტვინის შესახებ ჯერჯერობით, ფაქტობრივად, არაფერი ვიცით...

**ირმა ირემაშვილი**

## დედამიწის ზურგზე



**კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოაწყო სარაკეტო გამოცდა და შეუძლია მოამზადოს ბირთვული იარაღიც, ეშინიათ ექსპერტებს**

სამი ბალისტიკური რაკეტის გაშვება დააფიქსირეს იაპონელმა ძალოვნებმა, სამხრეთ კორეაში კი მიაჩნიათ, რომ მათი ჩრდილოელი მეზობელი ამზადებს ნიადაგს ახალი კლასის რაკეტების შესაქმნელად. გავლენიანი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერს კიმ ჩენ ინს შეუძლია გასცეს ბრძანება – მოხდეს რიგით მესამე ბირთვული გამოცდა წელს.

*   *   *

**აშშ-ში განმარტეს უარი – მისცენ რუსეთს გარანტიები რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ და მისი ულტიმატუმი წინასაარჩევნო აჟიოტაჟად მიიჩნიეს**

სახელმწიფო მდივნის მოადგილე ელენ ტოშერი უარყოფს, რომ რუსეთ-ამერიკის გადატვირთვა დასრულდა. იგი დარწმუნებულია, რომ რვა თვის განმავლობაში იურიდიული გარანტიების გარეშე მხარეები გააფორმებენ შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებით. ამ დროს ამერიკის შეერთებული შტატები ამცირებს ევროპაში თავის სამხედრო ყოფნას.

*   *   *

**სრული შემადგენლობით გადადგა იაპონიის მთავრობა**



პრემიერ-მინისტრმა იოსიხიკო ნოდამ პირადად შეკრიბა შესაბამისი განცხადებები მინისტრებისგან კაბინეტის სახელდახელო სხდომაზე. მიმავალი მთავრობა ფორმალურად ჩამოიწერს თავის ვალდებულებებს დღის მეორე ნახევრამდე. ახალ კაბინეტში პრემიერი აპირებს ხუთი მინისტრის შეცვლას.

*   *   *

**აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთში თოვლის გრიგალის გამო გადაიდო 500-ზე მეტი ავიარეისი**



ჩიკაგოს „ო' ხარაში“ გადაიდო 425 რეისი, აეროპორტ „მედვეიში“ კი 120. რეგიონში მოვიდა 20 სანტიმეტრზე მეტი ნალექი, რაც თვიურ ნორმას აჭარბებს, გზები გაივსო თოვლით და დაიფარა ყინულით. ორი კაცი დაიღუპა ავტოავარიაში, გავრცელდა საშტორმო გაფრთხილება აიოვას, მისურის, ილინოისის, მიჩიგანის, ინდიანის შტატებში.

*   *   *

**ნიუ-იორკში „გამოჩნდა“ დიდი ყვითელი ბრილიანტი, რომელიც ლონდონში ოთხზე მეტი წლის წინათ მოიპარეს**

ჰონკონგის ერთ-ერთმა ლომბარდმა ბრილიანტი გაგზავნა ნიუ-იორკში შესაფასებლად. ამერიკის ჰემოლოგიურ ინსტიტუტში მისმა თანამშრომლებმა მასში „შეიცნეს“ ძებნილი ქვა. საიუველირო მაღაზიის თავხედური გაძარცვა მოხდა 2007 წლის ივნისში.

⊙ თქვენთვის, ცნობისმოყვარულნო

# კაცობრიობის დაღუპვის 10 სცენარი



**2012 წლის 21 დეკემბერს უნდა დადგეს სამყაროს დასასრული. ასე გვიწინასწარმეტყველეს უძველესი მაიას ტომის ქურუმებმა თავიანთი კალენდრით. როგორი იქნება ეს დასასრული? სწავლულებმა წარმოადგინეს თავიანთი ვარიანტები**

### შეშინებულია ნახევარი მსოფლიო

**მომავალი აპოკალიფსის ისტერია არ ცხრება. უფრო მეტიც, ძლიერდება კიდეც. ამას წინათ კი აღმოაჩინეს სამყაროს დასასრულის კიდევ ერთი ყბადაღებული თარიღი — მაიას კალენდრიდან განსხვავებული. ის დახაზულია კამალკალკოს მახლობლად ტაძრის ერთ-ერთ აგურზე.**

ბევრი ადამიანი ნამდვილად შეშინებულია. მიაჩნიათ, რომ ძველ ტომებს ჰქონდათ შავბნელი წინასწარმეტყველების საფუძველი. მაგალითად, საძიებო სისტემამ Google შეკითხვაზე „2012“, ჯერ კიდევ 2009 წელს უპასუხა 170 მილიონზე მეტი ფურცლით. სადღეისოდ მათმა რიცხვმა 4 მილიარდს გადააჭარბა!

მაგრამ რა უდიდესი საიდუმლო უნდა სცოდნოდათ ველურებს, 2 ათასი წლის წინათ რომ ცხოვრობდნენ? როგორც ჩანს, დასასრულის სიახლოვე ისე საშინლად მიმზიდველია, რომ მასობრივი შეგნება ეწინააღმდეგება სწავლულთა მარტივ და გონივრულ განმარტებებს. სამყარო კი არ მთავრდება, — ამბობენ ისინი, — არამედ ეგრეთ წოდებული დიდი ციკლი, ანუ „მეხუთე მზე“, მაიას ტერმინოლოგიით, 5126 წლის ხანგრძლივობით რომ არსებობს. 2012 წლის დეკემბრის შემდეგ კი დაიწყება „მეექვსე მზე“. და არაფერი მეტი. მაშინ ასე რატომ გვაშფოთებს მაიას ციკლების ცვლა?

— შესაძლოა, საქმე გაგებაშია, — ამბობს მაიას იეროგლიფური დამწერლობის სპეციალისტი ვიქტორ ტალახი, — თუ, გავითვალისწინებთ „მონუმენტზე“ გამოკვეთილი მინაწერის დაკარგულ ფრაგმენტებს (იქვეა თვით კალენდარიცძ ის კი გვეუბნება, რომ 13 ღმერთიდან ერთ-ერთი — ბოლონიოკტე, რომელიც იყო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენის — ომისა და შემოქმედების — განსახიერება, უნდა „დაეშვას ციდან“, თუ რას ნიშნავს ეს — გაუგებარია. შიში კი დათესა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მაიას ტომს არ განუმარტავს შთამომავლობისთვის, როგორი იქნება სამყაროს დასასრული. მაგრამ იმათ დაეხმარა მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფი, რომელმაც შეადგინა ამ თვალსაზრისით საეჭვო წლის წინ თავისებური რეიტინგი კაცობრიობის დაღუპვის გაცილებით უეჭველი სცენარებისა, მათ შორის მოხვდა ძალზე ეგზოტიკურიც და არც თუ ძალიან ჩქარიც.

### 1. დიდი აფეთქება

არის ჰიპოთეზა, რომ დედამიწა არსებობს სივრცეთა გარემოში სახელწოდებით „ცრუ ვაკუუმი“. ის ისე არასტაბილურია, რომ შეუძლია ჩვენი სამყაროს დანგრევა.

„ეს ვაკუუმი გაჩნდა ჯერ კიდევ სამყაროს ისტორიის დაწყებამდე, — განმარტავს ტაფტსის უნივერსიტეტის კოსმოლოგიის ინსტიტუტის (ბოსტონი, მასაჩუსეტსის შტატი, აშშ) დირექტორი ალექსანდრე ვილენკინი, — მას გავსებული ჰქონდა მთელი სივრცე. ის იწვევდა განმზიდ გრავიტაციას, რამაც მიგვიყვანა იქამდე, რომ დღეს სამყარო სულ უფრო მზარდი სიჩქარით ფართოვდება“.

მაგრამ ზოგჯერ ცრუ ვაკუუმი არასტაბილურია, რის შედეგადაც ის იშლება, ქმნის რა ცეცხლოვან ნაერთს. წარმოქმნის ახალ დიდ აფეთქებას — და ის ჩვენ წამიერად დაგვაქუცმაცებს ატომებად.

### 2. სიკვდილი ეიფორიის გამო

დედამიწის თითქოს ყოველი მეორე მცხოვრები, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკის თანახმად, დღეს ზის ფსიქოსტიმულატორებზე — ნივთიერებებზე, რომლებიც ამაღლებენ უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციების აქტიურობას. ძირითადად ეს ნიკოტინი და კოფეინია. ბოლო დროს პოპულარული გახდა ყოველნაირი ენერგეტიკები. ხოლო ფუტოროლოგ როხიტა ტალვარის, ფირმა Fast Future Research-ის დამაარსებლის თქმით, შემდეგ გამოჩნდა ექსტაზის გამომწვევი უფრო დახვეწილი საშუალებები — ტვინის პირდაპირი ელექტრომაგნიტური სტიმულაცია ან პრეპარატები, შემუშავებული სპეციალურად კლიენტის გენის გამოყენებით. გამორიცხული როდია, რომ ერთხელ დადგება ისეთი მომენტი, როდესაც ადამიანები ველარ იცხოვრებენ „დოზის“ გარეშე. და კაცობრიობა თანდათან ამოწყდება შინაგანი ორგანოების დაზიანებით ან ორგანიზმის რეპროდუქციული ფუნქციის დაკარგვით.

### 3. ანტიმატერია

ადრე მიაჩნდათ, რომ ჩვეულებრივი ატომური ბირთვი შედგება პროტონებისა და ნეიტრონებისგან, ყველაზე მსუბუქი კვარკებისგან (ნივთიერებათა ნაწილაკებისგანძ რომ შედგება. მაგრამ ამას წინათ გამოირკვა, რომ ჩვეულებრივ ბირთვებს გარდა, ბუნებაში, შესაძლოა, იყოს ბირთვებიც, უმძიმეს კვარკებს რომ შეიცავენ. მაგრამ თუკი ასეთი კვარკებისგან შევქმნით ატომს, მაშინ შეიქმნება უცნაური მატერია. ზოგიერთი კოსმოლოგი მას განიხილავს, როგორც „ბნელი მატერიის“ როლის კანდიდატს, რომლისგანაც შედგება სამყაროს 22 პროცენტი. ფიქრობენ, რომ ამ „უცნაური ბნელი“ მატერიისგან შედგება „სტრაპკები“, ანუ „უცნაური წვეთები“ (ინგლისური strangeletsძ და ერთ-ერთი ჰიპოთეზით, ასეთი „სტრაპელკის“ დედამიწაზე დაცემამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ის, რომ რამდენიმე საათში მთლიანი პლანეტა გახდეს შეუხედავი „უცნაური წვეთების“ უფორმო მასა. სხვათა შორის, არის ვერსიაც, რომ ასეთმა „სტრაპეკლებმა“, შესაძლოა, შექმნას უდიდესი ადრონის კალეიდერი.

### 4. სიკვდილის სხივები

აპოკალიფსისით იმუქრებიან გამა-ჩაჩქაფუნებლებიც. მათგან ახალთახალი სასწაულებრივი სიძლიერის წვრილი სხივები წარმოიქმნებიან გაელვების დროს. გამა-გამოსხივებას შეუძლია, წამებში დააგროვოს იმდენი ენერგია, რამდენსაც ჩვენი მზე გამოყოფს 10 მილიარდი წლის მანძილზე.

იმისდა მიუხედავად, რომ ენერგიის კოსმოსური გამონატყორცნები შეიმჩნევა ცალკეულ გალაქტიკებში, მათ შეუძლიათ ჩვენამდე მოღწევაც.

თუ გამა-გამოსხივებების ნაკადი მიმართული იქნება ზუსტად დედამიწისკენ, მაშინ მისი სიძლიერე ეყოფა, რათა მთლიანად მოსპოს სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე — გვარწმუნებს ცნობილი ფიზიკოს-თეორეტიკოსი მიჩიო კაკუ.

დღესდღეობით დიდი საფრთხე მოგველის მძლავრად დამაგნიტებული ნეიტრონული ვარსკვლავიდან (მაგნიტარ 1E2259-586ძ, რომელიც მდებარეობს დედამიწიდან 13 ათასი სინათლის წელიწადის დაშორებით. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ის შესაძლოა აფეთქდეს 20-30 წლის შემდეგ.

### 5. ყველა ვულკანი ერთად გაიღვიძებს

გეოლოგები შიშობენ, რომ შეიძლება ამოფრქვევა დაიწყოს რამდენიმე სუპერვულკანმა. ჰაერი მოიწამლება შხამიანი გაზებით. სავსებით დასაჯერებელია, რომ მსგავსმა კატაკლიზმამ თავის დროზე დაღუპა დინოზავრები.

ამჟამად ვულკანების მასირებული აფეთქების უდიდესი საფრთხე მოდის აშშ-ის იელოუსტონის ნაციონალური პარკის ვულკანებიდან და კანარის კუნძულების ვულკან ლა-პალმადან.

### 6. პანდემია

კაცობრიობისთვის საფრთხეს წარმოადგენს ცხოველების, მცენარეებისა და მიკროორგანიზმების („აგრესიული“ძ სახეები ადამიანი შემთხვევით რომ შეიტანს მათთვის ახალ რეგიონებში. იქ ისინი წარმატებით ეგუებიან, იწყებენ გამრავლებას და იპყრობენ ახალ ტერიტორიებს. მაგრამ საბოლოო ანგარიშით ანადგურებენ ადგილობრივ ფაუნასა და ფლორას, მათგან თავს რომ ვერ იცავენ. ეს „მტაცებლები“, მაგალითად მცენარე striga ანადგურებს სიმინდის ან კოწახურის ნათესებს. იწვევს ხორბლის ჯეჯილის ჟანგვას, რაც უკვე პრობლემა გახდა მსოფლიოს სოფლის მეურნეობისთვის.

მოსალოდნელია აგრეთვე, რომ „გადამთიელებმა“ ზიანი მიაყენონ ადამიანის ჯანმრთელობასაც. მაგალითად, გახდნენ ინფექციისა და ეპიდემიის მიზეზიც კი. მედიკოსები კულუარებში აღიარებენ, რომ ღორისა და ქათმის გრიპის მიზეზებს ვერა და ვერ მიაგნეს. გამორიცხული არაა, რომ ახალი ავადმყოფობები გაჩნდა უცხოური ტერიტორიებიდან შემოტანილი პათოგენური მიკროორგანიზმების წყალობით.

### 7. პოლუსების შეცვლა

სწავლულები მოელიან, რომ დედამიწის მაგნიტური პოლუსები საცაა ადგილებს შეიცვლიან, როგორც ეს მოხდა წარსულში. „გადაპოლუსებისას“ შეიძლება გაქრეს მაგნიტური ველი, რომელიც ჩვენ გვიცავს კოსმოსური გამოსხივებისგან. მაშინ მოსალოდნელია სიკვდილი რადიაციიდან. თანაც მძლავრი ნაკადები გააცხელებენ ატმოსფეროს ზედაფენებსა და გამოიწვევენ კლიმატის გლობალურ შეცვლას. სხვათა შორის, პოლუსების ადრინდელ შეცვლას მიაწერენ მსოფლიო წარღვნასა და მამონტების დაღუპვას.

### 8. მანქანების ჯანყი

კომპიუტერულ მეცნიერებათა პროფესორს კალიფორნიის უნივერსიტეტიდან მაიკ დაიერს მიაჩნია, რომ ადრე თუ გვიან ან რობოტები დაიპყრობენ დედამიწას, ან ადამიანები გადაიქცევიან კიბორგებად. ეგრეთ წოდებულ „პოსტადამიანები“ სანახევროდ იქნებიან კომპიუტერებადი ან სულაც მთლიანად იარსებებენ ციფრული ინფორმაციების სახით, ზესწრაფი ქსელებით რომ გადაიცემიან და იცხოვრებენ, როგორც ჩანს, მუდმივად ფიზიკური სხეულის დაშლის შემდეგ. მაგრამ ნებისმიერი სისტემა დაიშლება და მაშინ დასასრული იქნება ან ახალი აპგრეიდი.

### 9. პლანეტას ჩაყლაპავს შავი ხვრელი

კემბრიჯის უნივერსიტეტის ასტროფიზიკოსის ალბერტ შერვინსკის თქმით, შავი ხვრელიდან, დედამიწიდან 28 ათასი სინათლის წელიწადით რომაა დაშორებული, სადღაც ჩვენს გალაქტიკის ცენტრში, დედამიწას უახლოვდება ღრუბელი, რომელიც განეკუთვნება „მჟავე ნისლეულთა“ თანრიგს. შენადედი16 მილიონ კილომეტრზე რომაა გადაჭიმული და თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებს — კომეტებსაც, ასტეროიდებსაც და ვარსკვლავებსაც კი. და თუ ის დედამიწისკენ გზაზე არ დაიშლება, მაშინ მოგვიახლოვდება 2014 წელს.

### 10. დროვ, გაჩერდი!

დროის გაჩერებაზე სწავლულები მსჯელობენ ბერკლში კალიფორნიის უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის ცენტრში. ამ ტემპორანული კოლაფსის ზუსტ თარიღს ისინი არ ასახელებენ. მაგრამ დარწმუნებულნი არიან, რომ დრო დასრულდება ჯერ კიდევ მზისა და დედამიწის სიცოცხლეშივე. ადამიანი ვერ შეძლებს დაინახოს, თუ როდის მოხდება ეს „დასასრული“. ჩვენ კატასტროფაში მთელი სვლით ისე შევვარდებით, რომ საათზე დახედვასაც ვერ მოვასწრებთ.

### სპეციალისტის კომენტარი

**ინგლისელი კოსმოლოგი და ასტროფიზიკოსი, ლონდონის სამეფო საზოგადოების ყოფილი მეთაური მარტინ რისი:** გადარჩენისთვის კაცობრიობის ცივილიზაციის შანსები უკვე 2100 წლის შემდეგ არ აღემატება 50 პროცენტს, თუ გავითვალისწინებთ ტექნოლოგიების ადვილ მისწვდომობას, გლობალური შედეგები რომ გააჩნია ბიოლოგიური ტერორიზმის და კონტროლს დაუმორჩილებელი ნანოტექნოლოგიების სახით.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

№1, 5-12 იანვარი, 2012 წ.

⊙ ინფორმაცია

## ჯაბა სამუშია – სამარშრუტო ტაქსებზე გამოცხადებული ტენდერის პირობები დაირღვა

**„ქრისტიან-დემოკრატების“ მტკიცებით, სამარშრუტო ტაქსებზე გამოცხადებული ტენდერის პირობები დაირღვა. როგორც თბილისის საკრებულოს „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა ჯაბა სამუშიამ განაცხადა, ტენდერში გამარჯვებულ ოთხ კომპანიას 15 იანვრამდე თბილისში სამარშრუტო ხაზებზე 3 068 ერთეული „ფორდის„ მარკის ყვითელი მიკროავტობუსი უნდა შემოეყვანა. რეალურად კი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის 60-70% პროცენტია შესრულებული. სამუშიას განცხადებით, ხელშეკრულების დარღვევა თვალშისაცემი რომ არ ყოფილიყო სხვადასხვა სამარშრუტო ხაზებიდან 5-8**



**მიკროავტობუსი მოიხსნა და სხვადასხვა ხაზებზე გადანაწილდა.**

**„ქრისტიან-დემოკრატები„ თბილისის მერიას მოუწოდებენ, ტენდერში გამარჯვებულ ფირმებს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესრულება მოსთხოვოს, უკიდურეს შემთხვევაში ოთხივე ფირმამ მერიას 1 300 000 დოლარი უნდა გადაუხადოს ჯარიმის სახით. როგორც სამუშიამ განაცხადა, კონტრაქტის დარღვევის პირობისთვის არანაირი ფორსმაჟორული სიტუაცია არ შექმნილა და დაკისრებული ვალდებულება 15 იანვრამდე უნდა შესრულებულიყო.**

ინტერპრესი

◉ თბილისის „დინამო“

# პლუს ერთი



**გოლოსდაგოლოს, მოხდა ის, რასაც თბილისის „დინამოს“ ქომაგები მოუთმენლად ელოდნენ: ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდში ჩაირიცხა საქართველოს ეროვნული ნაკრების 28 წლის ნახევარმცველი გოგიტა გოგუა და გუშინ ახალ პარტნიორებს კატალონიურ შეკრებაზეც გაჰყვა ბარსელონაში. მან კონტრაქტი „თეთრ-ლურჯებთან“ 1+2 სისტემით გააფორმა.**

შეგახსენებთ, რომ თემურ ქეცბაიას მიერ შერისხულმა გოგუამ „ჯვაროსანთა“ მაისურით გამართულ 27 მატჩში 1 გოლი გაიტანა, ხოლო საკლუბო კარიერის საუკეთესო სეზონები „თბილისში“ (2003-2005წ) და ნალჩიკის „სპარტაკში“ (2006, 2008-2010წ გაატარა, სამშობლოში კი ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგადან“ დაბრუნდა, სადაც შარშან 13 შეხვედრაში 1 გოლი გაიტანა.

დავძენთ, რომ დილმელთა მორიგ სამიზნეს ლვოვის „კარპატის“ 26 წლის მარცხენაფლანგელი სანდრო გურული წარმოადგენს.

განთქმული ბომბარდირის გია გურულის ვაჟს უკრაინელებთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს, თუმცა დიდი შანსია იგი თბილსელებმა იჯარით, ოღონდ საბოლოო გამოსყიდვის უპირატესი უფლებით აიყვანონ.

◉ კალათბურთი

# მართლაც რომ საუკეთესო

**უკვე გაუწყეთ, რომ იტალიის ჩემპიონატის XVI ტურში ვიქტორ სანიკიძემ საბენეფისო მატჩი მოიწყო და ქვეყნის მოქმედ გვირგვინოსან სიენას „მონტეპასკისთან“ „ბოლონიას“ გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო – 10 ქულა, 19 მოხსნა. შემთხვევითი არ არის, რომ კონტინენტის ერთ-ერთმა ყველაზე პრესტიჟულმა ვებ-გვერდმა „ევრობასკეტმა“ ჩვენი თანამემამულე „სერია-ა“-ს აღნიშნული სათამაშო დღის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელა.**

არანაკლებ საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ „ჯვაროსანთა“ 25 წლის ლიდერი ეფექტიანობის კოეფიციენტით (30წ მხოლოდ „ვენეციას“ წევრ შიმონ შევჩიკსა (32წ და „კაზერტას“ წარმომადგენელ ანდრეა კოლინზს (31წ ჩამორჩა.



როგორც პოპულარული გამოცემა წერს, „მისი აპენინური კარიერა შთამბეჭდავად ვითარდება და ამ პერიოდის განმავლობაში განვითარება და სრულყოფა არასდროს შეუწყვეტია“.

„ვიკას“ ჩინებულ კონდიციებზე წლევანდელი სტატისტიკაც მეტყველებს: საუკეთესო საშუალო მაჩვენებელი მოხსნებში (10,7წ და სხვადასხვა დისტანციიდან ზუსტ ტყორცნებში (62,3 პროცენტიწ.

◉ ესეც სტატისტიკაა

# ერთგულების სიმბოლოები

**ვინ მოთვლის, რამდენჯერ გვსმენია, ესა თუ ის ფეხბურთელი ამა თუ იმ გუნდში ატარებს კარიერის მთელ წლებსო. ჰოდა, ადგნენ თოვლისალმნუსხავი სტატისტიკოსები და ერთგულებით გამორჩეული მოთამაშეები ერთ ყალიბში მოაქციეს.**

**აი, რეკორდსმენთა ათეულიც.**



**როჟერიუ სენი** („სან პაულუ“, ბრაზილია, 38 წლისძ. უნიკალურმა მეკარემ 1016 მატჩში პენალტებით და საჯარიმოებით უამრავი გოლი გაიტანა.

**ნოელ ბეილი** („ლინფილდი“, ჩრდილოეთ ირლანდია, 40 წლისძ. 1989 წლიდან მოყოლებული, 1013 შეხვედრაში მოირგო მშობლიური კლუბის მაისური, მათ შორის ევროტურნირებში თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“, აგრეთვე ქუთაისის „ტორპედოს“ წინააღმდეგ.

**რაიან გიგზი** („მანჩესტერი“, უელსი, 38 წლისძ. 1991 წლის მარტიდან 626 თამაშში მეტოქეთა მეკარეები 111-ჯერ დაამწუხრა.

**კარლეს პუიოლი** („ბარსელონა“, ესპანეთი, 33 წლისძ. კატალონიელ „ტარზანად“ წოდებულ გუნდის კაპიტანს 1999 წლიდან მოყოლებული, 356 ბრძოლაში 8 ზუსტი დარტყმა აქვს შესრულებული.

**პოლ სქოულზი** („მანჩესტერი“, ინგლისი, 37 წლისძ. 1994 წელს დაწყებული შთამბეჭდავი კარიერა „რიჟამ“ შარშან დაასრულა, მაგრამ დროებით – უფეხბურთოდ დიდხანს ვერ გაძლო და ახლახან ისევ დაუბრუნდა სერ ალექს ფერგიუსონის ვარსკვლავურ კრებულს.

**ფრანჩესკო ტოტი** („რომა“, იტალია, 35 წლისძ. 484 მატჩში გატანილი 209 გოლი – ასეთია რომაელთა ცოცხალი ლეგენდის დიდებული პირადი მონაგარი.



**ჯეიმი კარაგერი** („ლივერპული“, ინგლისი, 33 წლისძ. „წითლების“ დაცვის ბურჯი არც საკუთარ კოჭებს უფრთხილდება და არც მოწინააღმდეგისას. უშუალო მოვალეობის შესრულების გარდა, 473 შეხვედრაში 5-ჯერ ბომბარდირობასაც გაუსინჯა გემო.

**იკერ კასილიასი** („რეალი“, ესპანეთი, 30 წლისძ. „სამეფო კლუბის“ თილისმამ 19 წლისამ(!წ პირველად მოიგო ჩემპიონთა ლიგა. 1999 წლიდან უკვე 437-ჯერ დაიცვა კასტილიელთა სპორტული ღირსება.

**ჩავი** („ბარსელონა“, ესპანეთი, 31 წლისძ. კატალონიური გრანდის „ტვინი“, 1998 წლიდან გვატკბობს მახვილგონივრული გადაცემებით, თანაც 399 თამაშში 43 გოლის გატანაც მოასწრო.

**სტივ ჯერარდი** („ლივერპული“, ინგლისი, 31 წლისძ. მერსისაიდელთა სულსა და გულს 1998 წლიდან ჩატარებულ 393 ბრძოლაში 86 გოლი დაუგროვდა. ჯერ სადა ხართ!

◉ შემთხვევა

# ფრისტაილისტი ქალი – კომაში

**კანადის დიდი ოლიმპიური იმედი სარა ბურკი, რომლისგანაც 2014 წელს სოჭის ოლიმპიადაზე ოქროს მედლებს მოელიან, კრიტიკულ მდგომარეობაშია ტრავმის შემდეგ, პარკ-სიტიში (აშშ, იუტას შტატიძ ვარჯიშის დროს რომ მიიღო.**

29 წლის სპორტსმენი ყინულზე დაეცა ტრიუკის შესრულების დროს. ის კომაში ჩავარდა და ვერტმფრენით სასწრაფოდ გადაიყვანეს ქალაქ სოლტ-ლეიკ-სითიში. ფრისტაილში 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მან მეოთხე ადგილი დაიკავა.



იმ ადგილას, სადაც ხავ-პაიპის ტრიუკის შესრულებისას ბურკი დაეცა, 2009 წლის 31 დეკემბერს ტრავმა მიიღო ამერიკელმა სნოუბორდისტმა კვინ პირსმა, მანაც ვარჯიშის დროს. ის მწყობრში მხოლოდ შარშან, წლის ბოლოს ჩადგა.

◉ უმადურობა

# საწუხარ არს ესე

**მიხეილ მესხს 75 წელი შეუსრულდებოდა.**

**ქართველი ხალხის XX საუკუნის უსაყვარლესი ფეხბურთელის საიუბილეო თარიღი I არხის თოქ-შოუ „არენაში“ გაჟღერებული რამდენიმე წინადადებითა და მისი დასრულების შემდეგ ნაჩვენები დოკუმენტური ფილმით აღინიშნა. როგორც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები იტყვიან, ი ტო ხლებ, თუმცა...**



მაშინ, როცა პიარით გატაცებული დე ფაქტო ხელისუფლება მილიონებს ფლანგავს მუმიებად (მისივე ტერმინიაძ ქცეული ჩამქრალი ვარსკვლავების ჩამოსაყვანად და მათ ნაფტალინიდან ამოყვანას ცდილობს, დიახაც, უნდა დაისვას კითხვა: ნუთუ „მტკვრისპირელი გარინჩას“ ნათელი ხსოვნისთვის საზოგადოებას სათანადო პატივი არ უნდა მიეგო?

დაგვეთანხმებით, ასეთი უმადურობით სწორუპოვარი თვისტომის ავტორიტეტი არანაირად არ იბღალება. უბრალოდ, ისაა გულდასაწყვეტი, რომ ამით მომავალ თაობას დიდი მიშას ბობოქარი და, ამავე დროს, ტრაგიკული ბიოგრაფიის შტრიხების გაცნობის საშუალება არ მიეცა.

და კიდევ: წლეულს 29 ივნისს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის მიერ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მოპოვებიდან ნახევარი საუკუნე სრულდება. შემოთავაზებული სტრიქონები იმიტომაც იწერება, რომ ქართული სპორტის მამებმა და მათმა ზემდგომებმა ეს სასახელო თარიღიც არ მიაფუჩეჩონ

**გია პლატონიშვილი**

◉ ინტერნეტიდან

## მარადონას ისევ ასამართლებენ

**მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდის დიეგო მარადონას წინააღმდეგ სასამართლო პროცესი ისევ დაიწყო იტალიაში. ადგილობრივი საგადასახადო ორგანოები არგენტინელს ბრალად სდებენ, ხაზინისთვის ვალისა და ჯარიმის 38 მილიონი ევროს გადაუხდელობას. ის კი „ნაპოლიში“ 1980 წლიდან თამაშობდა.**



არგენტინელი ფეხბურთელი იტალიური ხელისუფლების პრეტენზიებით რამდენჯერმე დააკავეს ქვეყნის ტერიტორიაზე. 1991 წელს იტალიის ფინანსური გვარდიის თანამშრომლებმა მარადონას მიაგნეს რომის აეროპორტში და ის იძულებული გახდა, ხელი მოეწერა სასამართლო შეტყობინებისთვის. მარადონასთვის არაერთხელ ჩამოურთმევიათ ძვირფასი ნივთებიც და ფულიც. 2005 წელს მისი ჰონორარის ნაწილი სატელევიზიო გადაცემაში მონაწილეობისთვის – 78,5 ათასი ევრო გადაერიცხა სახელმწიფოს. შემდეგ მას ჩამოერთვა ოქროს საათი „როლექსი“, 11 ათასი ევრო რომ ღირდა. 2009 წელს კი მერანოში დასვენებისას მას წაართვეს ცნობილი საყურეები ბრილიანტებით, რაც შემდეგ 25 ათას ევროდ გაიყიდა სპეციალურ აუქციონზე.

მარადონას ადვოკატის აზრით, მარადონა არის იტალიის გადასახადების ამკრეფი სახელმწიფო ორგანოების ცუდად მუშაობის მსხვერპლი. მარადონა ისედაც ხშირად ხვდებოდა სასამართლოში – ნარკოტიკების სიყვარულისთვის, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისთვის, ჟურნალისტებისთვის ცეცხლის გახსნისთვის და ა. შ.

## ვალენტინობისთვის ემზადება

**ქვედა თეთრეულის იტალიური ბრენდის Intimissimi რეკლამით სახელგანთქმულმა ირინა შეიკმა, კრიშტიანუ რონალდუს საცოლედ რომ ითვლება, ორმაგი ფოტოსესია გამართა. ერთში ის მაყურებლებს წარუდგა შავი მაქმანიანი თეთრეულით „პროვოკატორის ნაკრები“. მეორეთი კი ის თავს მოაწონებს მარტო რონალდუს კი არა, ყველა ვალენტინსაც კი. თეთრ-წითელი თეთრეულის კომპლექტს ეწოდება „გიჟმაჟი“, რომელსაც ემატება მშვენიერი ბანტი ტაკუნებზე.**



როგორც კომპლექტის ავტორები აცხადებენ, თეთრეული შექმნილია სპეციალურად წმინდა ვალენტინის დღისთვის, რომელიც 14 თებერვალს აღინიშნება. როგორც ამბობენ, კრიშტიანუსა და ირინას ქორწილი ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გაიმართება.

◉ როცა ასეთი სიყვარულია

# ჯოჯოხეთურმა წამებამაც ვერ გატეხა...

მას ორი კანონიერი ცოლი ჰყავდა, მაგრამ არც ერთისთვის არ მიუძღვნია ისეთი გულშიჩამწვდომი ლექსები სიყვარულზე, როგორც მისთვის, რომელიც არასოდეს ყოფილა მისი ცოლი. ეს იყო ლარას პროტოტიპი სკანდალური „ექიმი ჟივაგოდან"...პასტერნაკთან ურთიერთობის გამო ოლგა ივინსკაიას მოუწია ჯოჯოხეთის გავლა, მაგრამ საყვარელი ადამიანი არ უარუყვია...

როცა ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, ბორის ლეონიდის ძე ცნობილი პოეტი იყო, ხოლო ოლგა ვსევოლდის ასული – ჟურნალ „ნოვი მირის" უმცროსი რედაქტორი. პოეტი 56 წლის იყო, ოლგა – 34-ის. შეხვედრა 1946 წელს მოხდა. პოეტი მივიდა რედაქციაში, მათ ისაუბრეს, იგი შეპირდა ოლგას წიგნებს. და მეორე დღესვე გაუგზავნა კიდეც ხუთი ტომი...

ამის შემდეგ თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. პირველი პაემნები უბიწოებით გამოირჩეოდა. ისინი უბრალოდ სეირნობდნენ მოსკოვში. ოლგა ძალიან მიმზიდველი ქალი იყო: არცთუ მაღალი, ჰარმონიული აგებულების დიდი თვალებით, ოქროსფერი თმებით და მელოდიური ხმით.. ბუნებრივია, მამაკაცები ყურადღებას არ აკლებდნენ. პირველი ქორწინებიდან მან გაზარდა შვილი ირინა, ხოლო მეორედან ვაჟიშვილი – დიმიტრი. იგი მაშინ შეხვდა პასტერნაკს, როცა უკვე ორჯერ დაქვრივებული იყო.



იგი აღმერთებდა, ზეპირადაც იცოდა პასტერნაკის ლექსები! ჯერ კიდევ მოწაფეობისას პოეტის მონაწილეობით გამართულ ლიტერატურულ საღამოებში აქტიურობდა. მაგრამ მაშინ ვერ მიხვდა, რომ პასტერნაკი როგორც მამაკაცი იზიდავდა. პუშკინის ძეგლთან ერთ-ერთი პაემნის დროს პასტერნაკმა უთხრა: „მე შენ მიყვარხარ, და ახლა ესაა მთელი ჩემი ცხოვრება..."

სხვათა შორის, იმ დროს პასტერნაკს უკვე 10 წლის ცოლქმრობა ჰქონდა ზინაიდა ნიკოლაევნა ნეიჰაუზთან. ქორწინება, თავის დროზე, ორივესთვის ბედნიერი აღმოჩნდა, ისინი ერთმანეთს უხდებოდნენ, ეზრდებოდათ ვაჟიშვილი ლეონიდი...ვინაიდან არ სურდა ოჯახის დანგრევა, 1947 წლის აპრილში ბორის ლეონიდის ძე შეეცადა ოლგას დაცილებოდა, როგორც აუხსნა, მოვალეობის გამო. მაგრამ მეორე დღეს ისევ მივიდა მასთან.

და იგი ორ ოჯახად ცხოვრობდა, როცა მიდიოდა ოლგასთან, ქალი ჩვეულებრივად აბრეშუმის ხალათში ხვდებოდა, რაც მათი სიყვარულის სიმბოლო გახდა. ეს ხალათი „ექიმ ჟივაგოში" ლექსის სტრიქონადაც გაკრთება. 1949 წლის შემოდგომაზე ოლგა ივინსკაია დააპატიმრეს. მას ბრალად დასდეს პასტერნაკთან კავშირი, რომელიც როგორც უმტკიცებდნენ „ინგლისის შპიონი" იყო. საინტერესოა, რომ თავად პოეტს არ შეეხნენ. როგორც ჩანს, უნდოდათ წნეხის ქვეშ ჰყოლოდათ და საყვარელი ქალის მიმართ შანტაჟი ეწარმოებინათ. დაკითხვაზე ოლგა ვსევოლდის ასულს არ შეეძლო რაიმე ეთქვა პასტერნაკის ანტისაბჭოთა მოღვაწეობის შესახებ. ის მხოლოდ იმეორებდა: მე მიყვარს იგი! იმ დროს უკვე ფეხმძიმედ იყო ბორის ლეონიდის ძისგან. მას აწამებდნენ, ერთხელ უგონოდ მყოფი მორგშიც მიიყვანეს, მაგრამ შეცდნენ. ამის შემდეგ მას მუცელი მოეშალა.

ნატა ნიბლაძე

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77;
599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

ელვერ კუპატაძის ხსოვნას

# ღირსეული მოქალაქე და მეცნიერი

საქართველოს საზოგადოებამ და ვეტერანულმა ორგანიზაციებმა მძიმე დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა შესანიშნავი მამულიშვილი, გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ელვერ სერგოს ძე კუპატაძე.

დაიბადა 1949 წლის 3 იანვარს ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოში, მუშის ოჯახში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და დაიწყო მუშაობა ზეინკლად ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში.



შემდგომ სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1972 წელს, რის შემდეგ გაწვეული იქნა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში. 1972-1974 წლებში მსახურობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამეთაურო თანამდებობაზე.

დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1993 წელს – სადოქტორო დისერტაციები და მიენიჭა პროფესორის წოდება.

2002-2005 წლებში მუშაობდა თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში კათედრის გამგის თანამდებობაზე.

არჩეული იყო „ფაზისის" მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ელვერ კუპატაძე ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

მას გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, 16 მონოგრაფია. მისი ხელმძღვანელობით ხუთმა ასპირანტმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის, სამხედრო ხელოვნების და ისტორიის თემებზე. საქართველოს რადიოში მიჰყავდა გადაცემათა ციკლი „ქართული სამხედრო ხელოვნება უძველესი დროიდან დღემდე".

ელვერ კუპატაძე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის მონაწილეა. მან, როგორც რაინდული ბუნების მებრძოლმა გულწრფელად შეიყვარა ვეტერანი-მეომრები და ბრძოლებიდან დაბრუნებულმა, როგორც სამშობლოს ღირსეულმა პატრიოტმა, პარალელურად სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისა, აქტიურად ჩაება ვეტერანულ მოძრაობაში.

2004 წელს იგი აირჩიეს აიპ „საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ, რომელსაც ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე.

ელვერ კუპატაძის უშუალო ხელმძღვანელობით მრავალი ღონისძიება ჩატარდა ვეტერანთა სოციალური პირობების გაუმჯობესების, მათი სოციალური და სამართლებრივი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

ბატონი ელვერი იყო ნამდვილი ქართული ტრადიციების მქონე ოჯახის თავკაცი, ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

2003 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით ომის ვეტერანთა მოძრაობის განვითარებასა და ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთების აღზრდაში შეტანილი პირადი წვლილისთვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისთვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

წავიდა ჩვენგან დიდი ადამიანური ღირსების მქონე მოქალაქე, მამულიშვილი და უღალატო მეგობარი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ქვეყნის და ხალხის საქმისადმი ერთგულებისა და თავდადების ჭეშმარიტი მაგალითი იყო.

მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება მრავალრიცხოვანი ვეტერანების, მეგობრების და ახლობლების გულში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი,
საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტარანთა ცენტრალური კავშირი,
თბილისის, ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საქალაქო კავშირი.

---

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირი, თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ელვერ სერგოს ძე კუპატაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 15, 16 I, 16 სთ. გლდანის მე-VII მ/რაიონი, კორპუსი 4ა, გამოსვენება გლდანის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან 14 სთ. (გლდანის III-IV მიკრორაიონებს შორისძ.

---

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ელვერ სერგოს ძე კუპატაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

რეზო, ზაირა ნაცარაშვილები სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ მერი კუპატაძის ოჯახს მეუღლის

**ელვერ სერგოს ძე კუპატაძის**

უდროოდ გარდაცვალების გამო.

---

ვახტანგ ჯაფარიძე ოჯახით დიდ მწუხარებას გამოხატავს ღირსეული ქართველის

**ელვერ კუპატაძის**

მოულოდნელად გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

---

საზოგადოება „ზუგდიდელის" სახელით ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, ანზორ შონია, მურმან ნაჭყებია, ჯემალ კვირტია, კარლო ვეკუა, ოთარ ჭითანავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდებული ქალბატონი

**ეთერ ჩერქეზიშვილი-ქვარაია**

და სამძიმარს უცხადებენ მის მეუღლეს ჯუმბერ ქვარაიას. პანაშვიდი 15, 15 I, 16 სთ. მისამართი: ჭავჭავაძის 42. გამოსვენება 17 I, 14 სთ. წმინდა ნინოს ეკლესიიდან.

---



მეუღლე გივი აბზიანიძე, შვილები ირმა, ეკა, შვილიშვილები გოგლიკო, ნატუჩო, გიორგი, ძმა ლერი ხონელიძე, მული ლეილა აბზიანიძე, მულისშვილები პაატა, ხათუნა ჭეიშვილები, რძალი ნათელა ჩირგაძე, ძმისწულები ნატო, დათო ხონელიძეები, სიძეები ზვიად დოლიძე, ლევან ჩახავა, არსენ ბაკურაძე, კახა ჯიქია, მძახლები გოგი დოლიძე, გია ბაკურაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მადონა (ნატო)**

**პავლეს ასული ხონელიძე**

პანაშვიდი 14, 15 I, თბილისში, დელისის მესამე ქუჩა, №16, 16, I ქუთაისში, ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი (გამარჯვების მოედანი!ძ. გამოსვენება ამავე ეკლესიიდან 17 I, 14 სთ.

---

თამაზ იმედაძე, ლელა, ელგუჯა აბადოვსკები, დათო ჭანტურიშვილი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ ოჯახის უახლოეს მეგობრებს გივი და ლეილა აბზიანიძეებს შესანიშნავი ქალბატონის მეუღლისა და რძლის

**ნატო ხონელიძე-აბზიანიძის**

გარდაცვალებას.

---

გივი აბდუშელიშვილი, ვალერი ასათიანი, გიზო ბაქანიძე, ჯემალ ბერიძე, ანზორ ბურჯანაძე, თამაზ გაბუნია, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, თემურ თოფურიძე, ომარ კაჭარავა, ალექსანდრე კობაიძე, ჯემალ კუხალაშვილი, გერონტი კუხალეიშვილი, ზაურ მესხიშვილი, ჯემალ მიქელაძე, ნიკოლოზ ნეფედოვი, ბორის სარალიძე, ავთანდილ საყვარელიძე ოჯახებით ულრმესი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი უახლოესი მეგობრის – გივი აბზიანიძის უძვირფასესი მეუღლე, უმშვენიერესი, უსათნოესი და უკეთილშობილესი ქალბატონი

**ნატო ხონელიძე-აბზიანიძისა**

და თანაუგრძნობენ ოჯახს.

---



გურამ გუნავა ოჯახით მწუხარებით იუწყება სათნოებითა და კეთილშობილებით აღვსილი, ჭირსა თუ ლხინში უანგაროდ გვერდში მდგომი ქალბატონის

**ნატო ხონელიძე-აბზიანიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს დამწუხრებულ მეუღლეს ბატონ გივი აბზიანიძეს და შვილებს ირმას და ეკას.

## ⊙ კროსვორდი



**თარაზულად:** 1. პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მნათე (ვ. ჰიუგოძ. 6. „სხვა საქართველო სად არის,... კუთხე ქვეყნისა“ (ი. ნონეშვილიძ. 9. „ჯერ – ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“ (დ. გურამიშვილიძ. 10. ნამდვილი პიროვნება, რომლის მიხედვითაც ავტორმა შექმნა ლიტერატურული სახე. 12. მწერალ გეგეშიძის სახელი („ცოდვილი“, „სტუმარი“ძ. 13. „ოც წელს ... მაქვს ლოგინად, ცა მახურია საბნადა“ (ვაჟაძ. 14. ჩარლ დიკენსი – „ოლივერ ...“. 15. „მოკვდავსა ენას ... ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“ (ტატოძ. 16. ანხელას საყვარელი არაბი ემიგრანტი სანტიაგო ... (გ. გარსია მარკესი – „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“). 17. ნოდარ დუმბაძის მოთხრობა. 19. ნანა, შვილო, ... ნეტავ რამ შეგაშინა? 21. ოტია იოსელიანი – „...ურემი გადაბრუნდება“. 24. ფრანგი მწერალი, ავტორი რომანისა „დევნილი“. 26. „ქოჩორს უვარცხნის“ ..., დარაჯად დაადგებისა“ (ვაჟაძ. 28. ალექსანდრე დიუმა – „გრაფი ... „კრისტო“. 29. ბანდიტი გერმან ... („მგლის ბილიკი“). 32. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი. 33. რა ცხოველია წიქარა? 35. დემნა შენგელაია – „ირმის ...“. 36. მთავარი პერსონაჟი მამაკაცი ფერდინანდ შილერის დრამისა „ყაჩაღები“. 38. გაბრიელის ბატონი, რომელმაც მასა და თამროს ცხოვრება დაუნგრია („გლახის ნაამბობი“ძ. 39. ეს პატიმარი – ისიდორე... ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღებიდან“ სიძის მკვლელობისთვის მოხვდა ციხეში. 40. ზღაპრული ან ლეგენდური შინაარსის მცირე ზომის სტროფული ლექსი. 41. რუსი მწერალი, ავტორი რომანისა „არსენიევის ცხოვრება“. 42. ბიბლიის ათი მცნება.

**შვეულად:** 1. ირაკლი აბაშიძე – „... ბუხაიძე“. 2. სომეხი მწერალი, განმანათლებელი. 3. მოძღვრება ლექსის ზომისა და წყობის შესახებ. 4. ლევ ტოლსტოი – „...და მშვიდობა“. 5. ავაზა „მაუგლიდან“. 6. მეფე ლირის ერთ-ერთი ქალიშვილი. 7. მუსიკალურ-საცეკვაო სცენა იტალიის თეატრებში (მე-16-17 სსძ. 8. მარცვლეულის, ნაყოფიერების მფარველი ქართული ღვთაება. 11. ეს რუსი მწერალი დუელში მოკლეს („ევგენი ონეგინი“, „პიკის ქალი“ძ. 13. მარიტას ბებია („ნატვრის ხე“ძ. 18. „ჩვენ უნდა – ვშვათ მყოობადი“ (ილიაძ. 20. ავსტრიელი მწერალი, ავტორი რომანისა „წარღვნა“. 21. ერიხ მარია რემარკი – „..მეგობარი“. 22. მგლოვიარობის რომაული ქალღმერთი. 23. იგავი – „...და კრავი“. 25. დიკ ფორესტის ცოლი, ჯეკ ლონდონის რომანიდან „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“. 27. აკაკი ბელიაშვილი – „...ხალიბაური“. 29. ჩაიკოვსკის რომანი. 30. ვოლტერის დრამა. 31. ბანოვანი – „შორეული ...“. 33. დათო ტურაშვილი – „გურჯი ...“. 34. ემილ ზოლა – „ტერეზა ...“. 36 იაგოს ძმადნაფიცი („მამის მკვლელი“ძ. 37. თამაზ ჭილაძე – „... დამწყები მსახიობი გოგონასათვის“. 39. „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი ბედისწერამდე, „...არ დამდევს მისი ჩრდილი ფერად-ფერადი“ (გალაკტიონიძ.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გ. ახვლედიანის ქ. №19. 299-62-77; 599 32-85-76.

## ⊙ ანეკდოტები

– ალო, ეს თქვენ ებრძვით ალკოჰოლიზმს?
– არა, დავნებდით.

* * *

– რატომ იკეტება თბილისში შემოსვლამდე ერთი საათით ადრე, ტუალეტები ყველა მატარებელში?
– იმიტომ, რომ თბილისში საკუთარი განავალიც ჰყოფნით...



* * *

ირანი ურანს იმიტომ ამდიდრებს, რომ ურანი, თავის მხრივ, ირანს ამდიდრებს.

* * *

ვლადიმერ პუტინმა კონფერენციაზე განაცხადა, რომ ახლა შეუძლებელია 2012 წლის პრეზიდენტის არჩევნების შედეგების გამოცნობა, რადგან ეს მხოლოდ ხალხის გადასაწყვეტია. კონფერენციის დამთავრებისთანავე პუტინი გაემართა სტუდიისკენ, სადაც ჩაწერა პრეზიდენტის საახალწლო მიმართვები 2013-2025 წლებისათვის.

## ოთარ მეღვინეთუხუცესი 80 წლისაა

# სათაყვანო



14 იანვარს – ქართული თეატრის დღეს საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში **ოთარ მეღვინეთუხუცესის** დაბადების 80 წლისთავი აღინიშნება! დიახ, დიახ!.. დაუზამთრდა ჩვენს უსაყვარლეს მსახიობსაც, რომელმაც თავისი ნიჭითა და ოსტატობით ქართული სამსახიობო ხელოვნება სრულიად ახალ სიმაღლეზე აიყვანა, გახდა ცოცხალი ლეგენდა – თუთაშხიას განუმეორებელი სახის შემქმნელი, ხოლო, აღარაფერს ვამბობთ მის სასცენო შემოქმედებაზე, მარჯანიშვილისა და რუსთავის თეატრის სახელ-დიდების ამაღლებაში მის განუზომელ წვლილზე...

ხელჩავიანი სამკალი მომკილი გაქვთ, ბატონო ოთარ! ქართველი ხალხის სიყვარულით გარემოსილი დააბიჯებთ სამშობლოში, რომლის ბედუკუღმართობაც დაგაქვთ დარდად და ცოცხლობთ მისი უკეთესი მომავლის იმედით!

იცოცხლეთ, გაიხარეთ, კვლავაც გაგვახარეთ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციისა და მკითხველების სახელით –

ვილენ მარდალეიშვილი

## ⊙ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24